ამ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ვერ შეძლო საგადასახდელო ბალანსის არსებითი გაუმჯობესება, ამასთან, ექსპორტის სტრუქტურაც შეიცვალა. მზა სამომხმარებლო საქონლის ნაცვლად მასში მეტწილად ჭარბობდა ნედლეული. უკანასკნელ პერიოდში ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა კიდევ უფრო შეიზღუდა, ხოლო შიდა-გაონომიკური პრობლემები გამწვავდა. სახელდობრ, სწრაფი ცემპით გაიზარდა სოფლიდან ქალაქში მიგრაცია და, შესაბამისად, უმუშევრობა, რასაც მოჰყვა პოლიტიკური პროცესების გამწვავება.

ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა ბოლო პერიოდში შეცვალეს თავიანთი ეკონომიკური განვითარების კურსი და უპირატესობა სოფლის მეურნეობას მიანიჭეს. დღეს მსოფლიოში იგი აღიარებულია სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის დომინირებულ სექტორად. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ ქვეყნებს დაკარგული აქვთ განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვის, ინფორმაციული ეკონომიკისა და მომსახურების სხვა დარგების განვითარების შანსი, რომელთა გარეშე ისინი მუდამ სუსტად განვითარებული, აგრარული ქვეყნები იქნებიან. ამ ქვეყნების განვითარების სტრატეგიების უმრავლესობაშიც უპირატესობა რომ სწორედ აგრარულ სექტორს აქვს მინიჭებული, ამ ტენდენციას ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს. მაგალითად, 2015 წლის მონაცემებით, ნიგერის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70,0%, ინდუსტრიაში – 10,0%, ხოლო მომსახურების სფეროში – 20,0%; მოზამბიკში, შესაბამისად, 81,0%, 6,0%, 13,0%; ლიბერიაში – 70,0%, 8,0%, 22,0%; სუდანში 80,0%, 7,0%, 13,0% და ა.შ. შედარებით „შერბილებულია“ ეს თანაფარდობა ოურქეთში – 29,5%, 24,7%, 45,8%.

რაც შეეხება საქართველოს, 2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, ეს თანაფარდობა ასეთი იყო: აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 55,6%, ინდუსტრიაში – 8,9%, ხოლო მომსახურების სფეროში – 35,5%; შედარებისთვის, სომხეთში იყო 46,2%, 15,6%, 38,2%; აზერბაიჯანში – 39,3%, 12,1%, 48,6%.³ 2015 წლის საქსტატის მონაცემებით, საქართველოში ეკონომიკის სექტორებს მორის დასაქმებულთა თანაფარდობა ასეთია: აგრარულ სექტორში – 51,7%, ინდუსტრიულ სექტორში – 15,0%, მომსახურების სექტორში – 33,3%.

ასეთია დღეს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის დოგიკა, განვითარების გენერალური კურსი, რაც სამყაროს კიდევ უფრო დიფერენცირებულსა და კონტრასტულს ხდის. ერთი რამ კი ცხადია: დღეს მსოფლიოში არ არსებობს წინააღმდეგობა მაღალტექნოლოგიურ მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიას შორის. წინააღმდეგობებს მხოლოდ მოგველებული ტექნოლოგიები, ნაკლებკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა და პროდუქცია განაპირობებს, რაც სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, მათი ხევდრია. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. საქართველოც დღეს ამ დილემის წინაშე დგას. გლობალიზაციის ეპოქაში მოვლენამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ქართველთა ეს ინტენსიული ქვეყანა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მესამე ათასწლეულის დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში გართულებულია ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება, განსაკუთრებით ნაკლებად ავტონომიურია ტრანზიტული ქვეყნები, მათ სულ უფრო ნაკლები ექსპორტის

³ http://www.ciagov/library/publications/the-world_factbook/geas

ური კონტროლი აქვთ საბუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, მათი ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო „გრილდება“, ხოლო ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების შესაძლებლობები მცირდება. ინვესტიციები და ფინანსური ნაკადები განვითარებულ ქვეყნებშია კონცენტრირებული, განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზიცია უკავიათ ახალი მსოფლიო წესრიგის (კონკურენციული წესრიგის, სოციალური წესრიგისა და ინსტიტუციური წესრიგის) განსაზღვრის საჭმეში.

აშშ-ზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა და მათი ეკონომიკური განვითარება. ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე განსაკუთრებული გავლენის მოხდენა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგი შეიქმნა ამერიკული დოქტრინა „ნეოკლობალიზმი“. იგი ცნობილია „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით და ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე. თუმცა, გლობალიზაციისაგან გვერდზე გადგომა დღეს შეუძლებელიცაა და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს, ნეგატიურთან ერთად, აქვს უაღრესად პოზიტიური უფლებები. დღეს გასათვალისწინებელია სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები, რომლებიც სრულიად ახალ ამპლუაში აყენებს განათლების ფენომენს, მთელი საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ორგანიზებას, რომლის გარეშე ქვეყანა თავს ვერ დააღწევს დაბალკონკურენტურიანი სამუშაო ძალის პრობლემას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, საინფორმაციო მომსახურებისა და კომპიუტერული ქსელების, ტელეკომუნიკაციებისა და სატრანსპორტო სისტემების ფართოდ განვითარება დღეს ნებისმიერი ქვეყნისთვის უნივერსალური პოლიტიკა, ხოლო ცოდნასა და ინტელექტუალურ საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკა – მომავლის ეკონომიკა. ეს პრინციპები მესამე ათასწლეულის დასაწყისში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მსოფლიო წესრიგისა და „ეროვნული მუნიციპალიტეტის“ დირექტორის, აქედან გამომდინარე კი, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის დონესა და ტემპებს.

რაც შეეხება საქართველოში ეკონომიკის განვითარების გენერალური სტრატეგიის შესახებ მთავრობის ინიციატივის ტურიზმის განვითარების შესახებ, მისასალმებელია (ოდონდ აუცილებელია ტურიზმს დაქმატოს კურორტებიც). ამ პრობლემის სათანადო შესწავლის საფუძველზე, საქართველოში კურორტებისა და ტურიზმის პრიორიტეტული განვითარების – გენერალური სტრატეგიის შესახებ, ჯერ კიდევ, დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში ვწერდი, 1999 წელს კი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზეც გავიტანე ეს საკითხი სათანადო დასაბუთებით, მაგრამ წინა ხელისუფლებებს არ მიუქცევიათ ყურადღება ამისთვის [ასათიანი რ. 1999]. მისასალმებელია, რომ ამჟამად საქართველოში ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის განვითარების განვითარებულ სტრატეგიად არის აღიარებული. მასთან ერთად მომსახურების სექტორის ის წამყვანი დარგებიც, რომლებიც XXI საუკუნის – ცოდნისა და ინოვაციების საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის პრიორიტეტებად არიან აღიარებულნი.

საქმე შემდეგშია: ბუნებაში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. მით უფრო აქტუალურია იგი საქართველოსათვის, რომელიც დღეს ძნელად იგაფავს გზას ახალი ეკონომიკური ურთიერთობების რთულ ლაბირინთებში. ასეთ პირობებში, ფინანსურ სტაბილიზაციასთან

ერთად, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელება და შესაბამისი სანგვესტიციო პროგრამების შემუშავება ქვეყნის უპირველეს ამოცანად მიღვაჩნია. საინვესტიციო პოტენციალი უნდა წარიმართოს ისეთი მაპროფილებელი დარგების განვითარებისკენ, რომელთა მულტიპლიკაციური ეფექტი მაღლი იქნება ეკონომიკისათვის. ეს დარგები ერთგვარი კატალიზატორის როლს შეასრულებს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასა და ეკონომიკის საერთო დონის ამაღლებაში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილი ადგილი მომსახურების სფეროს დაქარებულმა განვითარებამ უნდა დაიკავოს. ეს პროგრესის საფუძველია. პრიორიტეტული საბაზრო ურთიერთობების დამკიდრება ორგანულად უკავშირდება მრმსახურების სფეროს დივერსიფიკაციას, მაგრამ გამოკვეთილი ადგილი მასში საკურორტო-ტურისტული მეურნეობის დასტაციების დაწესებულ განვითარებას უნდა მივაკუთხოოთ.

საკურორტო-ტურისტულ სპეციალიზაციას საქართველოში განუსაზღვრელი პოტენციური შესაძლებლობები განაპირობებს. მრავალმხრივი ბუნებრივ-გეოგრაფიული რესურსების არსებობა საკურორტო მკურნალობისათვის ნაჩვენები ყველა სახის დაავადების მეურნალობისა და ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. ეს რესურსებია:

უმდიდრესი ჰიდრომინერალური რესურსები. საქართველოში გამოვლენილია 1300-ზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა სადღედამისო დებეტი 130 მლნ ლიტრია, საქართველოში 102 კურორტი და 340 საკურორტო ადგილია. ამასთან, ჩვენი სამშობლო უნიკალური კურორტების მფლობელია. სამკურნალო ტალახი, კონტრასტული ბუნება და თვალწარმტაცი ლანდშაფტი, ბუნებრივ დირსებულებებისათვის მრავალფეროვნება (საქართველოში 1000-მდე კარსტული მდვიმეა, რომელთა მიკროკლიმატის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ), კულტურის უძველეს ძეგლთა სიუხვე, ეთნოგრაფიული თავისებურებების მრავალფროვნება და ა.შ. რეკრეაციულად მიმზიდველს ხდის საქართველოს.

დასკვნა

საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარება საქართველოში მისი აყვავებისა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ოპიმალური გზა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შანსია. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას, ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად, ის ეკონომიკური ფაქტორებიც გაძლევს, რომლებიც ეკონომიკური ეფექტიანობის პრიზმაში აისახება.

საკურორტო-ტურისტული სპეციალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში; ხელს შეუწყობს მცირებიზნების განვითარებას (ვინაიდან მასზე მოთხოვნა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ამ სფეროში მეწარმეობის დაწყებისათვის საკმარისია მცირე სასტარტო ინვესტიციები, ამასთან, ტურისტული ფირმების გაკოტრების პროცენტი მხოლოდ 0,5-ის ტოლია, ხოლო ამ სფეროში დანახარჯების უკუგების ვადები მინიმალურია); შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს; შეამცირებს უმუშევრობას, აამაღლებს მთიანი რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონეს და ხელს შეუწყობს მათ ადგილზე დამაგრებას; შექმნის მყარ საშინაო ბაზარს სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისათვის, ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას; დააწესებს საერთაშორისო ეკონომიკური

და კულტურული ურთიერთობების განვითარებას; ხელსაყრელ პირობებს შექმნის ადგილობრივი მოსახლეობის მკურნალობისა და დასვენებისათვის, რაც მრავალ სიკეთესთან ერთად, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში აისახება; გააუმჯობესებს დემოგრაფიულ სიტუაციას საქართველოში; პოზიტიური მიმართულებით სახეს შეუცვლის ეკოლოგიას და ა.შ. ამიტომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს მეცნიერული მიმართულება აღნიშნული სფეროს განვითარების სხვადასხვა ასპექტის აკლებაში. აუცილებელია სახელმწიფო დონეზე შეიქმნას კურორტებისა და ტურიზმის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. კურორტებისა და ტურიზმის განვითარება საქართ- ველოში გვრობისკენ მიმავალი რეალური გზა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2015. ეკონომიკური განვითარება. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტი.
2. ასათიანი რ. 1999. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ეკონომიკური რეფორმა და საქართველოს მომავალი“. მოხსენებათა ოებისები. თბილისი, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, 7-8 მაისი.
3. ასათიანი რ. 2005. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“.
4. ასათიანი რ. 2003. ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, №4.
5. ასათიანი რ. 2014. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“.
6. ასათიანი რ. 2013. ახალი მსოფლიო წესრიგი და მისი პრინციპების რეალიზაციის არსებული მდგრმარეობა საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკა“, №12.
7. ასათიანი რ. 2015. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“.
8. ასათიანი რ. 2017. კეთილდღეობის ეკონომიკის თანამედროვე მოდელები. „ეკონომისტი“, №1.
9. ასათიანი რ. 1994. მთავარია შეიქმნას კონკურენტუნარიანო ბაზარი. „რეფორმა“ XII.
10. ჭითანაგა ნ., თაკალანძე ლ. 2008. სოციალური ეკონომიკა. I ნაწილი. თბილისი, „ინოვაცია“.
11. Asatiani R. 2011. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Political Developments”. New York, Nova Science Publishers Inc.;
12. Coase R. 1996. The Problem of Social Cost. “Journal of Law and Economics”. Vol. 3,
13. Stiglitz J. E. 1999. Economics of the public sector. Second Edition. New York-London, “W.W. Norton & Company”.
14. http://www.ciagov/library/publications/the-world_factbook/geas
15. . 2015. . “ ”, . ”, .
16. . 1999. . „Academia“.

Rozeta Asatiani
Doctor of economic science, Professor
Expert in Economics at the Georgian
National Academy of Sciences

PRIORITIES AND GENERAL STRATEGY OF GEORGIA'S ECONOMIC DEVELOPMENT

Expanded Summary

Effective development of Georgia's economy significantly depends on the correct direction of socio-economic processes in the country and integrated assessment. In Georgia, for the right direction of economic reform (which is too long drawn), it is necessary to know what riches the country has, what kind of wealth and quantity we have, how we use it, where it is distributed and so forth. For this, all kind of Georgia's wealth should be properly listed and analyzed. At the same time, if we really want to move to a market economy (about which we have already been shouting for 25 years, whereas a number of countries spent this period of time to obtain the status of the “Asian tiger”), it is necessary to take the pulse of the world economy which will serve as a compass for us. It is impossible to judge about such extremely topical and burning issues, the future of Georgia, the priorities of her development and general strategy based on emotions, without taking into consideration the world experience.

The implementation of a sound economic reform is directly connected with the creation of an “army” of entrepreneurs and, first of all, the development of small business which is in extremely grave condition in Georgia. The acuteness of this problem is also confirmed by the fact that in the country with great traditions in terms of entrepreneurship, currently only 9.1% is engaged in manufacturing activities with small business, the share of medium-sized business makes 8.4%, and the rest is 82.5%, that is a big business. Unfortunately, such an ugly structure of entrepreneurship destroys entrepreneurship. That is why the core of economic development – the average strata - is very small in Georgia, it makes only 9%!!! Where is the opposition at this time from which we hear only scolding of the authorities and not constructive criticism. Based on this, only such a conclusion can be drawn: there is a shortage of people with reformatory aspirations in Georgia. There are so many unskilled parliamentarians who have no idea about the market economy, what role is played in the parliament of Georgia. Today, it is not the time to sit in a chair and do not try to catch fish in muddy water.

In modern global world the country's competitiveness as the most important indicator of development and public welfare determines the place of each country and role in the world economy. The creation of a new strategy in modern economy is based on new innovative system. That is why, in the 21st century the number of structural transformations represent the development of innovative economy.

At present, the basis for efficient functioning of a modern economy is a continuous process of substituting of obsolete technology by the new one, development of resource saving technologies. Special attention is paid to information technologies that have a huge impact not only on material resources but also on the quality of intellectual capital and provide the advancement of the phenomenon of knowledge to the forefront. Innovative progress has given a powerful impetus to the all-round development of creative potential. That is why today in

foreign trade the theory of comparative advantages gives way to the theory of competitive advantage. Currently, in the world market the most advantageous are those industries that produce information technologies in the service sector, means of communication and the entire telecommunications system. Their success in the world market is determined by the introduction of innovations, rather than the growth of production capabilities and makes emphasis on such values as quality, “know-how”, new approach to the market, new design, etc. The best way to achieve competitiveness for Georgia is the development of resorts and tourism that promises to give the country a great economic investment to the country.

გივი ლემონჯავა
საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მონეტარული აოლიტიკის გადაცემის მმართვებელის მფლობელის
შემსახური

რეზიუმე
სტატიაში განხილული მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები, საქართველოს მაგალითზე გაანალიზებულია მონეტარული გარემო და შეფასებულია მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმების გავლენა პოლიტიკის მიზნობრივ ცვლადებზე.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები, მონეტარული პოლიტიკის მიხედვი, მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმების ეფექტები.

ঢেক্সাম্বো

ეკონომიკაზე მონეტარული პოლიტიკის გავლენის ძალა და სისწრაფე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ფინანსური სექტორის განვითარების ხარისხი. საქართველოს ფინანსურ სექტორში, საბანკო სექტორის გარდა, მისი ყველა დანარჩენი კომპონენტი სუსტად არის განვითარებული. განსაკუთრებით, ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი კაპიტალის ბაზარი, მისი გავლენა ფულად ნაკადებზე თითქმის ნულის ტოლა. დამატებით, დოლარიზების მაღალი დონის გამო, ძალიან ვიწროა საქართველოს ფულადი ბაზრის საღარე ინსტრუმენტების განვითარების მასშტაბი. ასეთია ის შეზღუდული გარემო, სადაც ფუნქციონირება უწევს მონეტარულ პოლიტიკას, რომლის შედეგები დამოკიდებულია მისი გადაცემის მექანიზმების ურთიერთქმედების ძალებზე.

საქართველოს ეროვნული მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი ადგენს ბანკების რეფინანსირების მოკლევადიან განაკვეთს. პირდაპირი და ირიბი მექანიზმებით, ეს განაკვეთი გავლენას უნდა ახდენდეს საბაზო საპროცენტო განაკვეთებზე, ფულის მასაზე, აქტივების ფასზე, მოლოდინებზე, და გაცვლით კურსებზე. საბოლოო ჯამში, ამის შედეგი უნდა იყოს ინფლაციის მიზნობრივი დონისა და ეკონომიკური ზრდის სასურველი დონის მიღწევა [ლემონჯავა, გ. 2016].


წარმოდგენილ სტატიაში, საქართველოს ეროვნული ბანკის 2008–2017 წლების მონაცემების საფუძველზე (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>), შევცადეთ შეგვესწავლა საქართველოს ფინანსურ სექტორში შექმნილი გარემოდა გაგებანალიზებინა ამ გარემოში მონეტარული პოლიტიკის შესაძლებლობები. უფრო კონკრეტულად, ნაშრომის მიზანი იყო მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთის საშუალებით მიზნობრივი ინფლაციის მიღწევის შესაძლებლობის შეფასება. ამ მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ შევაფასეთ მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებების გავლენა ფულადი ბაზრის სხვადასხვა ინსტრუმენტებზე, რამაც მოგვია საშუალება, დაგვენახა და შეგვეფასებინა მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობა.

რეფინანსირების განაკვეთის გავლენა ფულადი ბაზრის განაკვეთებზე

განვიხილოთ მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის (MPIR) ცვლილების გავლენა ფულადი ბაზრის განაკვეთებზე, როგორიც არის ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი (CDs-Rate), ერთ წლადე სახაზინო ვალდებულებები (T-Bills), რეპო განაკვეთები (REPO-RATE), ბანკთაშორის სესხების ერთდღიანი და შვიდდღიანი განაკვეთები (TIBR1-Rate, TIBR7-Rate), და კომერციული ბანკების (ALR, LLR და FCLR⁴) სესხების საპროცენტო განაკვეთებზე. გასათვალისწინებელია, რომ

გავლენები ჩამოთვლილ ცვლადებზე არ იქნება მომენტალური, ადგილი ექნება გარკვეულ დაგვიანებებს, როგოლოთ ხანგრძლიობა კველა ცვლადისთვის არ იქნება ერთხაირი. როგორც წესი, დაგვიანების პერიოდი დამოკიდებულია ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების ვადიანობასა და ფულადი ბაზრის განვითარების დონეზე.

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთს დიდი ისტორია არ აქვს, ეს ინსტრუმენტი შეიქმნა 2008 წელს. ამ ცვლადის დროითი მწერივი დღემდე მოიცავს 111 დაკვირვებას (ნახ. 1). როგორც ჩანს, ამ ცვლადის ცვლილების დიაპაზონი საქმარისად დიდია, 8,3%. შესაბამისად დიდია დისპერსიაც, რომელიც შედგენს 4 პროცენტს. 9 წლის განმავლობაში 45-ჯერ შეიცვალა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რაც წელიწადში საშუალოდ 5 ცვლილებას ნიშნავს. როგორც ცნობილია, ამ ცვლილების ეფექტს ახასიათებს მინიმუმ 3-დან 6 თვემდე ჩამორჩენა (დროითი ლაგი). თუ ამას გავთვალისწინებთ, ცოტა გაუგებარია და კითხვებს იწვევს მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების ასეთი სიხშირით ცვლილების მიზანშეწონილობა.




ნახ. 1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები (2008-2017)

რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება უნდა ეფუძნებოდეს ინფლაციისა და ვალუტის გაცვლითი ძურსის პროგნოზებს. ცხადია, მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების დროსთან შესაბამისობა დამოკიდებულია მონეტარული ხელისუფლების ამ ორი ცვლადის სწორად პროგნოზირების უნარზე. ასეთი უნარის ქონა ცოტათი საქართველო, რადგან, როგორც ზემოთ დავინახეთ, მოკლე დროის მანძილზე რამდენჯერმე ზევით-ქვევით შეიცვალა მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთი (ნახ. 1 და 2). როგორც ჩანს,

⁴ ALR- კომერციული ბანკების საშუალო საპროცენტო განაკვეთი; LLR – კომერციული ბანკების ლარის სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი; FCLR-კომერციული ბანკების უცხოური ვალუტის სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი.

მონეტარული რეფინანსირების გადაწყვეტილება სავარაუდოდ უფრო ეფუძნება მიმდინარე მდგომარეობის სიტუაციურ ანალიზს და უფრო არის შემდგარ მდგომარეობაზე რეაგირება. ასეთ მიღებობას ახასიათებს დიდი რისკი, რაც ვლინდება მონეტარული გადაწყვეტილებების დროსთან აცდენებში.

უფრო საფუძლიანი ანალიზისთვის საჭიროა, მათემატიკური სტატისტიკის შეოღებით შევაფასოთ რეფინანსირების განაკვეთის გავლენა ფულადი ბაზრის მოკლევადიანი ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთებზე დროითი ლაგის გათვალისწინებით. პირველად დავთვალოთ კორელაციის კოეფიციენტი ფულის მასის ზრდასა და რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებას შორის (ცხრილი 1). ცვლადების არსიდან გამომდინარე, კორელაციის ეს კოეფიციენტი უნდა იყოს უარყოფითი, რასაც ეთანხმება პირველ ცხრილში მოყვანილი კორელაციის კოეფიციენტი. ნდობის 5 პროცენტიან დონეზე ყველა ეს სიდიდე არსებოთა, ანუ განსხვავებულია



ნახ. 2 ფულის მასის ზრდა და მონეტარული საპროცენტო განაკვეთების ცვლილება

ნულისგან. ფულის მასის ცვლილება დამოკიდებულია მონეტარულ განაპეოზე, დამოკიდებულების ხარისხი იზრდება დაგვიანების პერიოდების ზრდის კვალობაზე და მაქსიმუმს აღწევს 11 თვის დაგვიანებისთვის, ფულადი მასის, M2, ცვლილების ყველაზე კარგი ამხსნელად გამოდის 11 თვით (მეორე

	MPIR	MPIR-1	MPIR-2	MPIR-3	...	MPIR-6	...	MPIR-11	MPIR-12
M2	-0.3883	-0.4183	-0.4454	-0.4730	...	-0.5500	...	-0.6447	-0.6447
R ²	0.15	0.17	0.19	0.22	...	0.30	...	0.42	0.42

სტრიქონი - შესაბამისი ცვლადების კორელაცია; მესამე სტრიქონი – შესაბამისი რეგრესიების ასენის დონე) დაგვიანებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი - MPIR₁₁. შესაბამისი რეგრესიის განტოლებაა

$$M2_t \times 6.84 Z 0.42 | MPIR_{t+1}, \quad (1)$$

რომლის ამხსნელი ცვლადის $t = -8.84$ და რეგრესიის $F = 78.24$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი, რომლის ზომას ხსნის დონეს, ტოლია 0,42 -ის. მოცემული სტატისტიკების მნიშვნელობები იმდენად დიდია, რომ (1) განტოლების არსებითობის გამოვლენაში დაყენების საფუძველი არ არსებობს. მაგრამ, როგორც

ცხრილი 1-დან ჩანს, რეგრესიის მოცემული განტოლებების ახსნის დონე პირველი სამი თვის დაგვიანებით 25 პროცენტზე დაბალია, ის დაგვიანების მე-11 თვეზე აღწევს 42 პროცენტს. ასე რომ, ფულის მასის ცვლილება სუსტად არის განპირობებული მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებით.

ახლა ვნახოთ თუ რა გავლენა აქვს მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთს ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთებზე. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტებია: ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი (CD), მოკლევადიანი სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები (TB), რეპო ოპერაციები (REPO), 1 და 7 დღიანი ბანკოაშორის სესხები (TIBR1 და TIBR7), და მოკლევადიანი სახაზინო ობლიგაციები (TN). ჯერ შევაფასოთ ამ ცვლადების კორელაცია მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთთან, შემდეგ კი ავაგოთ ჩამოთვლილი ცვლადების რეგრესია რეფინანსირების განაკვეთთან. კორელაციის კოეფიციენტების მატრიცა მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2					
	MPR	COD	TIBR-1	TIBR-7	TB -1
MPR	1				
CD	0.912353	1			
TIBR1	0.863412	0.841518	1		
TIBR7	0.925231	0.879139	0.752873	1	
TB1	0.610506	0.699504	0.509763	0.621567021	1

ცხრილი 2-ის პირველი სეგმენტის კორელაციის კოეფიციენტები ყველა არსებითია და განსხვავებულია ნულისგან, რადგან მათი t სტატისტიკური (22.83, 17.54, 24.99 და 7.90) აღემატება $t_{105, 0.025} = 2.00$ კრიტიკულ მნიშვნელობას.

ანუ მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთს გავლენა უნდა ჰქონდეს ფულადი ბაზრის მოკლევადიანი ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთებზე. ამ ცვლადების რეგრესიის განტოლებები რეფინანსირების განაკვეთით ჩაიწერება შემდეგი განტოლებების სახით

$$CD_t \times Z3.11 \Gamma 1.69 \mid MPIR, \quad (2)$$

$$TIBR1_t \times Z0.28 \Gamma 0.94 \mid MPIR \quad (3)$$

$$TIBR7_t \times Z0.75 \Gamma 1.21 \mid MPIR \quad (4)$$

$$TB1_t \times 0.63 \Gamma 1.24 \mid MPIR \quad (5)$$

$$REPO_t \times 22.16 Z1.53 \mid MPIR \quad (6)$$

მე-3 ცხრილში წარმოდგენილია მოცემული რეგრესიებისა და მათი პარამეტრების სტატისტიკური შეფასებები. ამ ცხრილის მონაცემების თანახმად, ხუთივე რეგრესიის განტოლება არსებითია და მათი კოეფიციენტები არსებითად განსხვავებულია ნულისაგან. (2) – (4) რეგრესიის ახსნადობის უნარი შთამბეჭდავად გამოიყურება (0.83, 0.74 და 0.86), შედარებით მცირეა ეს მაჩ-

გენებელი (5) და (6) რეგრესიებისთვის, მაგრამ ახსნის დონე მაინც მნიშვნელოვანია, შესაბამისად - 0.42 და 0.48.

ცხრილი 3

	კოეფიციენტები და სტატისტიკური რეგრესიების მიხედვით				
	(2)	(3)	(4)	(5)	(6)
b_0	-3.11	-0.28	-0.75	0.63	22.16
b_1	1.69	0.94	1.21	1.24	-1.53
t	22.62	17.37	24.75	7.83	-5.45
P value	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
F	511.11	301.68	612.54	61.37	3.14
R^2	0.83	0.74	0.86	0.42	0.48
n	106	106	106	86	34

განვიხილოთ მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გავლენა ბანკების სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთზე (ALR), ლარსის სესხების საპროცენტო განაკვეთზე (LLR) და უცხოური ვალუტის სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთზე (FCLR). სამივე ცვლადის რეგრესიის განტოლება ასეთია:

$$ALR_t \text{ X } 14.95 \Gamma 0.51 \mid MPIR_t \quad (7)$$

$$LLR_t \text{ X } 18.97 \Gamma 0.38 \mid MPIR_t \quad (8)$$

$$FCLR_t \text{ X } 9.49 \Gamma 0.85 \mid MPIR_t \quad (9)$$

ცხრილი 4

	კოეფიციენტები და სტატისტიკური რეგრესიების მიხედვით		
	(7)	(8)	(9)
b_0	14.95	18.97	9.49
b_1	0.51	0.38	0.85
t	4.17	4.58	4.62
P value	0.00	0.00	0.00
F	17.38	20.99	21.32
R^2	0.14	0.16	0.16
n	113	113	113

მართალია, (7)–(9) რეგრესიების ახსნის დონე, დეტერმინაციის კოეფიციენტი (R^2), დაბალია და 16 პროცენტს არ აღემატება, მაგრამ სხვა სტატისტიკური ბანკები (t, p და F) ამ განტოლებებისა და მათი კოეფიციენტების არაარსებითობის მტკიცების საფუძველს არ იძლევა. ასე რომ, მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთს აქვს გავლენა ბანკის სესხების საპროცენტო განაკვეთზე. მაგრამ, როგორც ჩანს, არის კიდევ სხვა უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლების დიდ გავლენას ახდენენ კომერციული ბანკების სესხების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. კერძოდ, ეს არის ინფლაციასთან, ვალუტის გაცვლით კურსთან და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული მო-

ლოდინების ცვლილება. ასევე, გასათვალიწინებელია კრედიტებზე მოთხოვნის იმ ნაწილის ცვლილება, რომელიც არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე.

როგორც ზემოთ ვნახეთ, მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთს გავლენა აქვს კომერციული ბანკების სესხების საპროცენტო განაკვეთებზე, ესლა შევამოწმოთ, ხომ არ არის ეს გავლენა დროში დაგვიანებული. ამისთვის ავიღოთ დაგვიანების 6 თვიანი პერიოდი და ავაგოთ სესხების საპროცენტო განაკვეთების რეგრესია რეფინანსირების განაკვეთების ამ 6 ცვლადის მიმართ: $MPIR_{t-1}$, $MPIR_{t-2}$, ..., $MPIR_{t-6}$. ჩვენ ავაგეთ სამი ცვლადის (ALR, LLR და FCLR), ყველა მათგანში მხოლოდ $MPIR_{t-6}$ ცვლადის რეგრესიის განტოლების კოეფიციენტია არსებითი. ეს იმას ნიშნავს, რომ რეფინანსირების განაკვეთის მიმდინარე ცვლილება 6 თვის შემდეგ აისახება კომერციული ბანკების სესხების საპროცენტო განაკვეთებზე. ეს დამოკიდებულება ასახულია რეგრესიის შემდეგ განტოლებებში:

$$ALR_t \text{ X}13.05 \Gamma 0.78 \mid MPIR_{t-26} \quad (10)$$

$$LLR_t \text{ X}17.92 \Gamma 0.53 \mid MPIR_{t-26} \quad (11)$$

$$FCLR_t \text{ X}6.81 \Gamma 1.23 \mid MPIR_{t-26} \quad (12)$$

ცხრილი 5

	კოეფიციენტები და სტატისტიკები რეგრესიების მიხედვით		
	(10)	(11)	(12)
b_0	13,05	17,92	6,81
b_1	0,78	0,53	1,23
t	8,15	7,88	8,53
P value	0,00	0,00	0,00
F	66,39	62,06	72,68
R^2	0,38	0,36	0,40
n	113	113	113

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, ბოლო სამი რეგრესიის დეტერმინა-ციის კოეფიციენტი მნიშვნელოვნია (38%, 36% და 40%). მაგრამ, არც ისეთი, რომ სესხების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას სანახევროზე მეტად სინიდეს.

ახლა ვნახოთ, თუ რა გავლენა აქვს სესხების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას კომერციული ბანკების საკრედიტო ბალანსებზე (TL, TLL და TFCL) და შემდეგ შევაფასოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ ფაქტორის გავლენა ფულად აგრეგატზე. კომერციული ბანკების მთლიან სესხებთან ერთად, განვიხილოთ ლარში და უცხოურ ვალუტებში დენომინირებული სესხები. ამ ცვლადების შესაბამის საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებით რეგრესიები ასეთია:

$$TL_t \text{ X}33.52 Z1.31 \mid ALR_t \quad (13)$$

$$TLL_t \text{ X}18.37 Z0.71 \mid LLR_t \quad (14)$$

$$TFCL_t \text{ X}14.11 Z0.50 \mid FCLR_t \quad (15)$$

ცხრილი 6

	კოეფიციენტები და სტატისტიკები რეგრესიების მიხედვით		
	(13)	(14)	(15)
b ₀	33.52	18.37	14.11
b ₁	-1.31	-0.71	-0.52
t	-17.44	-12.89	-18.32
P value	0.00	0.00	0.00
F	304.31	166.08	335.72
R ²	0,73	0.60	0.75
n	113	113	113

როგორც მე-6 ცხრილიდა ჩანს, ბოლო სამი რეგრესიის არსებითობაზე გჭვის საფუძველი არ არსებობს და, ამასთან, მათი ახსნის დონე საცმარისად მაღალია. ანუ, ფაქტია, რომ ბანკების სესხების ბალანსის ცვლილება მგრძნობიარება საპროცენტო განაკვეთის მიმართ, რაც კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს. მარგამ, ჩვენ ამ შემთხვევაში, უფრო გაინტერესებს დამოკიდებულებების ჯაჭვი, რომელიც იწყება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით, MPIR, და მთავრდება ფულადი აგრეგატის ცვლილებით – ცვლილების საპროცენტო ხაზი. ამისთვის საჭირო იქნება შეგაფასოთ კიდევ ერთი დამოკიდებულება სესხებისა და ფულადი მასის ცვლილებას შორის. შემდეგი განტოლება წარმოადგენს 2 ფულადი აგრეგატის რეგრესიას კომერციული ბანკების მოლიან სესხებთან მიმართებით:

$$M2_t \times 815851.77 \Gamma 0.33 | TL_t \quad (16)$$

ცულის მასის (M2) რეგრესია მთლიანი სესხებით

ცულის მასის (M2) რეგრესია მთლიანი სესხებით						
Regression Statistics						
Multiple R	0.941436					
R Square	0.886302					
Adjusted R Square	0.885268					
Standard Error	508933.5					
Observations	112					
ANOVA						
	df	SS	MS	F	Significance F	
Regression	1	2.22E+11	2.22E+11	857.175	9.38387E-51	
Residual	110	2.85E+11	2.50E+11			
Total	111	2.51E+11				
	Coefficient	Standard Err	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%
Intercept	815851.8	118855.7	6.861218	1.11E-10	580307.5819	1051395.971
TL	0.311105	0.01131	29.23267	0.38E-54	0.308771782	0.353500095

მე-7 ცხრილში მოყვანილი რეგრესიის სტატისტიკა ($t=29.28$ და $F=857.47$) ადასტურებს, რომ განტოლება (16) არსებითია და მისი ახსნის დონე

88.52 პროცენტია. ასე რომ, ფულადი მასის ცვალებადობის მთავარ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს საბანკო სესხების ბალანსის ცვალებადობა.

ჩვენ ახლა გვაქვს შესაძლებლობა, შევაფასოთ მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის მრავალსაფეხურიანი გავლენა ფულადი აგრძების ცვლილებაზე. ამისთვის მე-(7) განტოლების დეტერმინაციის კოეფიციენტი უნდა გავამრავლოთ მე-(16) განტოლების დეტერმინაციის კოეფიციენტზე და მივიღებთ კუმულაციურ ეფექტს

$$CE \times 0.14 | 0.38 | 0.73 | 0.88 \times 0.0341, \quad (17)$$

რომელიც ტოლია 3.41 პროცენტის. გავდენის ასეთი სისუსტე შედეგია იმისა, რომ საქართველოს ფულად ბაზარში ბანკების რეფინანსირების ინსტრუმენტის როლი დიდია არ არის და შესაბამისად ნაკლებად მნიშვნელოვანია ამ ინსტრუმენტის ეფექტურობა მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში. ასე რომ, რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი ჯერ კიდევ არ არის იმდენად ძლიერი აღმძრავი, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი იყოს ეფექტური მონეტარული პოლიტიკის წარმოება.

რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას გავლენა უნდა ჰქონდეს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზეც – პოლიტიკის გაცვლითი კურსის ხაზი. თუმცა, ეს გავლენა ყოველთვის არ არის ცალსახა, ის დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია ადგილობრივი და უცხოური საპროცენტო განაკვეთების თანაფარდობა, რამდენად მიმზიდველი და ხელმისაწვდომია ლოკალური ფულადი ინსტრუმენტების ბაზარი გარე ინვესტორებისთვის. ამ გავლენის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე მოლიდინები, რომლებიც უკავშირდება ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებს და ინფლაციასთან დაკავშირებულ მოლოდინებს. და კიდევ, გასათვალისწინებელია სპეციალური ზეწოლა სავალუტო კურსზე, რომლის ინტენსივობას აძლიერებს ცენტრალური ბანკის სავალუტო ინტერვენციების ზრდა.

სავალუტო კურსის ცვლილება იწვევს ადგილობრივი და უცხოური საქონლის ფასების ფარდობით ცვლილებას. ამგარი ცვლილება გარკვეული დაგვიანებით შემდგე აისახება ადგილობრივ ეკონომიკაზე, ხოლო უფრო მეტი დრო დასჭირდება მას, მოახდინოს გავლენა მოხმარების არსებულ მოდელზე. აქ გვაქვს გავლენის ორი ხაზი, რომლებიც მოქმედებენ გაცვლითი კურსის საშუალებით. ერთი არის გაცვლითი კურსის გავლენა წმინდა ექსპორტზე, ხოლო მეორე - გავლენა ინდივიდუებისა და ფირმების ბალანსზე, რაც იწვევს ეკონომიკური სუბიექტების წმინდა დირექტულების ცვლილებას.

აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ რეფინანსირების განაკვეთის გავლენას ლარის გაცვლით კურსზე. როგორც ეს მე-8 ცხრილიდან ჩანს, სავალუტო კურსზე რეფინანსირების განაკვეთის გავლენა 3 თვიანი დაგვიანების ფარგლებში ნულის ტოლია, რადგან რეგრესიის ყველა კოეფიციენტი არაარსებითია. საერთოდ, საქართველოს ფულადი ბაზარი სუსტად რეაგირებს მონეტარული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე, ხოლო მის ცვლილებაზე თითქმის არ რეგირებს ლარის გაცვლითი კურსი. ამის ერთი მიზეზი ის არის, რომ სავალუტო რისკის აღქმა მაღალია ინვესტორებში და თავს იკავებენ ლარის ფინანსურ აქტივებში ინვესტირებისაგან; ხოლო მეორე - საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების დაბალი დონე, რაც აფერხებს ფულადი ნაკადების შემოდინება-გადინების პროცესს.

ლინეარული გაცვლითი კონტაქტის რეგრესია რეფლექსონიური განაცვლებისას						
Regression Statistics						
Multiple R	0.40421722					
R Square	0.16192312					
Adjusted R Square	0.15477717					
Standard Error	0.30497402					
Observations	113					
ANOVA						
	<i>Df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	Significance F	
Regression	4	1.52665351	0.38163878	4.103236	0.00499455	
Residual	108	10.044982	0.0920001			
Total	112	11.57163521				
	Coefficients	Standard Error	t Stat	F-value	Lower 95%	Upper 95%
Intercept	2.0087	0.0975	20.5429	0.0000	1.8104	2.1970
MPIR	0.1230	0.0883	1.3359	0.1886	-0.0329	0.2989
MPIR 1	0.0058	(0.1337)	0.0436	0.9553	0.2591	0.2418
MPIR-2	-0.0437	0.1333	-0.3261	0.7450	-0.3001	0.2213
MPIR 3	0.1048	(0.0874)	1.2280	0.2221	0.2818	0.0612

თუ ეს ასეა, მაშინ რომ უნდა აიხსნას სავალუტო გაცვლითი პურსის ცვალებადობა? ერთი ასეთი ფაქტორი უნდა იყოს მონეტარული აგრეგატის ცვლილება, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, თითქმის არ არის დამოკიდებული რეფლექსის განაკვეთზე; ხოლო მეორე უნდა იყოს ეკონომიკური აქტივობების შემცირება და არასასურველი მოლოდინები, რომლის ძირითადი წყარო, აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად შეიძლება იყოს არათანმიმდევრული და გაუგებარი მონეტარული პოლიტიკა. ბოლო ორი ფაქტორის რაოდენობრივი შეფასება როგორც საქმეა, თანაც საჭირო ინფორმაციის არარსებობის პირობებში, ხოლო პირველის შესაძლებელია სტატისტიკური მოდელების ფარგლებში. ამ მიზნით განვიხილოთ ორი ტიპის ფულადი აგრეგატი M2 და სარეზერვო ფული (RM). ეს ორი ცვლადი ურთიერთკოლინარულია, ამიტომ ავარჩიოთ ის, რომლის კორელაციის კოეფიციენტი სავალუტო პურსის ცვლილებასთან იქნება მაქსიმალური. ჩვენს შემთხვევაში, ასეთია M2-ის ცვლილება. შესაბამისი რეგრესიის განტოლება იქნება

$$\Delta L/\$ = -0.0061 + 0.17 \Delta M2 \quad (18)$$

ეს რეგრესია არსებითია (b1 კოეფიციენტის $t = 3.08$, $p = 0.0025$ და $F = 9.51$), თუმცა მისი ასენის დონე მხოლოდ 8 პროცენტია. ანუ ვალუტის გაცვლითი პურსის ცვლილება უფრო მეტად განპირობებულია სხვა ფაქტორებით, რომელთა ანალიზი და შეფასება სცილდება ნაშრომის ფარგლებში.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, სავალუტო პურსთან მიმართებაშიც სუსტია ამ ფაქტორის მნიშვნელობა. სავალუტო პურსის ცვლილების ახსნაში რეფლექსის საპროცენტო განაკვეთის გავლენის მნიშვნელობა მხოლოდ 13 პროცენტია. ამასთან, ის ხასიათდება დიდი დაგვიანებით. ჩვენს შემთხვევაში, ეს დაგვიანება სამ თვეს აღემატება. მოცემულ პირობებში, ცხადია, მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ რეფლექსის

სირების განაკვეთის ცვლილებაზე, ვერ იქნება სათანადოდ ეფექტური ლარის გაცემითი კურსის სატაბილიზების საქმეში.

ცუდადი ბაზის ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია დია ბაზის ოპერაციები. ამ მექანიზმის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მათი გავლენა საპროცენტო განაკვეთზე და ცუდის მასაზე სწრაფიც არის და ადვილად პროგნოზირებადიც. სამწუხაროდ, ეს მექანიზმი საქართველოში ჯერკიდევ სუსტად არის განვითარებული, ამიტომ მისი როლი მონეტარულ პოლიტიკაში არ არის დიდი.

ცხრილი 9

Regression Statistics						
	Multiple R	R Square	Adjusted R Square	Standard Error	Observations	
	0.05761	0.000377	0.000393	37.82483	112	
ANOVA						
	df	SS	MS	F	Significance F	
Regression	1	511.0278	127.757	0.089297	0.980625708	
Residual	107	153085.2	1430.702			
Total	111	158186.2				
	Coefficient	standard error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%
Intercept	-3.4825	3.9511	-0.880091	0.351091	-11.371458836	4.175353251
ΔM2	-14.1032	33.07226	-0.420212	0.683337	-83.63339401	55.42130110
ΔM2-1	-2.02805	55.33832	-0.02738	0.977729	-138.8915010	183.23136033
ΔM2_2	44.56985	91.52521	0.483051	0.625506	136.7682085	226.1179112
ΔM2_3	4.336796	53.42745	0.045557	0.962635	180.8122181	189.5859099

დასასრულ, დავაკავშიროთ ეს კველაფერი ინფლაციის განაკვეთთან - მონეტარული პოლიტიკის მიზანთან. ამისთვის შევაფასოთ ცუდადი მასის ცვლილებების გავლენა ინფლაციის განაკვეთზე. როგორც ცხრილი 9 ცხადყოფს, ინფლაციის განაკვეთი თითქმის არ რეაგირებს ცუდის მასის ცვლილებაზე. რეგრესიაში სამ თვემდე დაგვიანების ცვლადების კველა კოეფი-ციენტი არაარსებითია, F სტატისტიკაც მცირეა და რეგრესიაც არაარსებითია, რადგან მისი კველა კოეფიციენტი, დიდი ალბათობით, ნულის ტოლია.

როგორც ცნობილია, ინფლაცია არის ცუდის მასის ზრდის ფენომენი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მივიღეთ საპირისპირო შედეგი. ეს ფაქტორიც რომ გავითვალიწინოთ (17) ფორმულაში, რეფინანსირების კუმულაციური ეფექტი, CE, თითქმის ნულს გაუტოლდება. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ჩვენ განვიხილეთ ინფლაცია, რომელზეც გავლენა შეიძლება უკვე პქონოდა ცუდადი მასის ცვლილებას. ინფლაციაზე გავლენის შევასება უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ჩვენ შევძლებდით პოლიტიკის აღნიშნული გავლენების ნივე-ლიტერატურას. ამის გაპეტება შესაძლებელი იქნებოდა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ცნობილი მოდელის საფუძველზე [Svensson, Lars E. O. 1997], მაგრამ ამისთვის საჭირო იქნებოდა ყოველთვიური მთლიანი შიდა პროდუქტის ცოდნა, რაც ამჟამად არ აღირიცხება საქართველოს სტატისტიკის სამსახუ- რების მიერ.

მთლიანობაში, ზემოთ მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ მონეტარული პოლიტიკა, რომლის მთავარი აღმძრავი იქნება რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ვერ იქნება საქმარისად ეფექტური ინსტრუმენტი როგორც ინფლაციის, ასევე ლარის გაცვლითი კურსის კონტროლის საქმეში.

დასკვნა

საქართველოს ეროვნულ ბანკს დეკლარირებული აქცის მიზნობრივ ინფლაციაზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკა, სადაც, წესით, რეფინანსირების განაკვეთის როლი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ მექანიზმის რეალური გავლენა, რომელიც ხორციელდება მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმებით, მალიან სუსტია და ვერ გამოდგება ინფლაციისა და სავალუტო კურსის კონტროლის სამედო მექანიზმა.

თუმცა, აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ დღეს ამ ტიპის ერთ მიზნებ ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკის გამოყენების საქმარი წარმატებულ მაგალითებს იძლევა ბევრი ქვეყანა [Mishkin, F. 2009]. ამგვარი მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით მათ შეძლეს ინფლაციაზე საიმედო კონტროლის დაწესება, მიაღწიეს და ინარჩუნებენ მეტ-ნაკლებად სტაბილურად დაბალ ინფლაციას.

საქართველოს შემთხვევაში მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმებში ლარის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების გავლენის სისუსტეს განაპირობებს რიგი ფაქტორები. მათ შორის ერთი ის არის, რომ ფულად ბაზარზე ლარის ტრანზაქციების მოცულობა მცირეა, რასაც დიდწილად განაპირობებს დოლარიზების არსებული მაღალი დონე; მეორე, ფულადი ბაზრის სტრუქტურა და იქ ვაჭრებადი ფულადი ინსტრუმენტების მცირე მასშტაბი; მესამე, გლობალურ ფულად ბაზრებთან ინტეგრაციის დაბალი დონე, რისი შედეგია ისიც, რომ ლარის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერ ახდენს გავლენას უცხოური ვალუტის ნაკადებზე.

ის, რომ ლარის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერ ახდენს გავლენას უცხოური ვალუტის შემოდინებაზე, ართულებს მონეტარული პოლიტიკის ამოცანას ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის საქმეში. არადა, საქართველოსთვის, რომელიც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანაა, ძალზე კრიტიკულია ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობაც. ამდენად, აქ მიზნობრივ ინფლაციაზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკაც კი ვერ იქნება გულგრილი გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიზნის მიმართ, რადგან ლარის გაცვლითი კურსი ფასების ინფლაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. უფრო მეტიც, ლარის კურსის გრძელვადიან არასტაბილურობას შეუძლია ფინანსურ კრიზის შეუქმნას საფუძველი.

გამომდინარე აქვთ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა, დეკლარირების მიუხედავად, ვერ იქნება მკაცრად ერთმიზნიანი. ინფლაციის მიზანთან ერთად მან უნდა იზრუნოს ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზეც. მართალია, მოცემულ პირობებში, ეროვნული ბანკის შესაძლებლობებს აღემატება გაცვლითი კურსის სრული სტაბილურობის მიზანი, მაგრამ მან მონეტარული პოლიტიკის მექანიზმებით უნდა შეძლოს საფალურ კურსის მოკლევადიანი ჭარბი ფლუქტუაციის თავიდან აცილება მაინც. თუ ეს მიზანი მიღწეული იქნება, შემცირდება ვალუტის გაუფასურების არასასურველი მოლოდინების შექმნა, გაიზრდება ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა, რაც თავის მხრივ შეასუსტებს ფასებზე ზეწოლას, გაიზრდება თვით მონეტარული პოლიტიკის მიმართ ნდობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლემონჯავა, გ. (2016). მონეტარული პოლიტიკის როლი და ამოცანები. უკრნალი ეკონომისტი, ტომი IX, #2, 26-35; გმონჯავა, გ. (2016). მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები. უკრნალი გლობალიზაცია და ბიზნესი, #2, 81-88.
2. Svensson, Lars E. O. 1997, “Inflation Forecast Targeting: Implementing and Monitoring Inflation Targets”, European Economic Review, 41.
3. Mishkin, F. 2009. Monetary Policy Strategy - “Inflation Targeting: A New Framework for Monetary Policy”. The MIT Press, Cambridge. 206-252.

Givi Lemonjava

Associated Professor University of Georgia

**EFFICIENCY OF IMPLEMENTATION MECHANISMS OF MONETARY POLICY IN
GEORGIA**

Expanded Summary

The power and rapidity of the monetary politics influence to the economics are depending on numerous of factors. Among those the most important things are the extent of financial sector development and dollarization level. Besides the banking sector in Georgia financial sector, its all the rest components, are faintly developed. Especially the capital market development level is very low. Its influence to the capital and cash flows is almost identically zero. In addition, because high level of dollarization , it is too weak the money market instruments development scale. The monetary policy has to function in a such environment, which results depend upon the efficiency of the transmission mechanisms of monetary policy. The aim of this paper is to check the hypothesis of monetary policies transmission mechanisms influence of price inflation.

The Committee of Georgia National Monetary Policy establishes the short term rate of refund of the banks. With indirect and direct mechanisms, this rate influences on rates of the market interest rate, monetary aggregates level, assets price, expectations and also exchange rate. In conclusion, the result should be the achievement of the desirable rate of economical growth with low inflationrate.

On the basis of the existing data, in this article, we have studied the current environment of the financial sector of Georgia, where the monetary policy has to act. According to this purpose, we have estimated the influences of monetary policy official interest rate on the interest rates of the money market instruments and also on LARI to USD exchange rates. Using statistics methods it was evaluated the refund rate influence on the money market of short term instruments. The coefficient of the correlation between the M2 growth and the Monetary Policy Interest Rate(MPIR) is accelerated according to the delayed months and reaches at the eleventh month.

The short term money instruments are densely correlated to MPIR. But the correlation of the banks loans interest rates is too weak to the MPIR. Only the Lari's loans interest rates (ALR) show large influences from MPIR. Their regression equation is

$$ALR_t \times 13.05 \Gamma 0.78 | MPIR_{z_6},$$

which determination coefficient equals 38.

The changes of MPIR may effect on the national currency exchange. Though, this influence is not always clear, it depends on the local and foreign relative interest rates, how it is attractive and available the market of local money instruments for foreign investors. Also the expectations greatly influence on this effect, which are fed from the monetary policy current decisions and the expectations related to the inflation. Moreover, it should be considered the speculative pressure on the rate of the exchange, where the central bank's intervention policy strengthens the speculative intensity.

There is discussed only the MPIR influence on the currency exchange rate in the article. It was almost zero the refund rate influence at the currency within 3 months period. Generally, the monetary market of Georgia weakly responds to the changes of the monetary policy rate, rather Lari exchange rate has no react to its change. The only reason of this is that the perception of currency risk is high among the investors and they refrain from investing of financial assets of Lari; and another reason is - the low level of financial market development in Georgia, which delays the process of cash flow. In general, the efficiency of the changes of MPIR strongly depends on the level of financial market development in the country.

As it was expected, the regression

$$TL_t \times 33.52 Z1.31 ALR,$$

of the total Lari's loans(TL) with the relevant interest rates is important.

In this chain of the dependents, one important relationship shows following regression

$$M2_t \times 815851.77 \Gamma 0.33 | TL_t,$$

which estimates total loan influences of monetary aggregate, M2. This equation of regression gives an explanation of 88 percentage level and satisfies all the criteria of essence.

Along the monetary policy transmission chain cumulative effect of the MPIR is

$$CE \times 0.14 | 0.38 | 0.73 | 0.88 \times 0.0341,$$

or 3.41 percente. Such weakness of this influence is because of narrow extent of National Bank refunding transaction. So, the interest rate of the refund isn't so hard arousing, that it should be possible to manufacture the effect monetary politics on its basis.

The Georgian National Bank has declared the focused monetary policy on the purposed level inflation – targeted inflation policy, where, as a rule, the MPIR role should be much more influential. But as we had seen above, a real influence of this mechanism is very weak and would not be considered as reliable mechanism of inflation control.

Though, it should be mentioned, that nowadays many countries give us quite successful examples of monetary politics focused on one purpose of this type [Mishkin, F. 2009]. They managed to establish a reliable control over the inflation with such monetary policy instruments, reach and preserve approximately a sustained low inflation.

In case of Georgia, the weakness of the influence of the MIPR changes within the mechanisms of politics transferring is conditioned by some factors. Among them the one is that the capacity of Lari transactions in the money market is little, which is mainly caused the higher level of dollarization; the second, - the structure of money market and a little scale of money instruments in trading; the third, - a low level of integration with the global money markets, resulting that the change of Lari interest rate can't afford to influence over the foreign currency flows; the fourth, - a high level of deposits and loans dollarization.

The fact that the changes of Lari interest rate can't influence on the inflowing of foreign currency, it complicates the task of monetary politics in the affair of stability of currency exchange. Otherwise, for Georgia which is developing economic country, is rather critical the stability of currency exchange. Thus, the monetary policy should not be indifferent towards the aim of the exchange course, because the Lari exchange course is an important factor of price inflation. Moreover, a long term instability of Lari course can make a basement of financial crisis. Despite of above mentioned declaration, Georgia National Bank monetary policy could not ignore currency exchange rate stability goal. It should take care and find method to pursue both targets at the same time.

ბესიკ ბოლქვაძე
გონიძე გონიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**სახელმწიფო საპირატო კოლეგიის ზოგიერთი პროდემატური
საპირის შესახებ**

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ქვეყნის სახელმწიფო ფინანსების მართვის ისეთ უმნიშვნელოვანების საკითხებს, როგორიცაა: საბიუჯეტო ცვლილებათა სიხშირე, პროგრამული ბიუჯეტირება, საბიუჯეტო დაგეგმვა და შესრულების ანალიზი, საჯარო საბიუჯეტო განხილვები, კაპიტალური განწერები, საბიუჯეტო ასიგნებათა გადანაწილება, კაპიტალური ხაკადების პროგნოზირება, სარეზერვო ფონდები, საბიუჯეტო ნაშთის ცვლილება. ნაშრომში შემოთავაზებულია ხსენებული პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის აგზორისეული შეხედულებები.

საკვანძო სიტყვები: კონსოლიდირებული ფინანსური პოლიტიკა; საბიუჯეტო ციკლი; საშუალოვადიანი პრიორიტეტები; პროგრამული ბიუჯეტირება; საბიუჯეტო კლასიფიკატორი; საბიუჯეტო ნაკადების პროგნოზირება და ანალიტიკა.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ცნობილია, ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანების პრიორიტეტს სახელმწიფო ფინანსების სფეროში მიღებული ფისკალური გადაწყვეტილებები და მათი ეფექტიანობა წარმოადგენს, რაც თავის ასახვას საბიუჯეტო პოლიტიკის იმპლემენტაციაში პოულობს. რაციონალური საბიუჯეტო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მაკროდონებზე ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფის, ხოლო მიკროდონებზე საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ, იმავდროულად, გამართული ბიზნესგარემოს შესაბამისი საბიუჯეტო-საგადასახადო მექანიზმის შენარჩუნებით.

ეფექტიანი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება და მისი ფუნქციონირება ითვლება შედეგზე ორიენტირებულად მხოლოდ სახელმწიფოს სოციალურებონიკურ სტრატეგიასთან მისი შესაბამისობის და გამართული სახელმწიფო ფინანსური მენეჯმენტის პირობებში. აღნიშნული თვალსაზრისით, საბიუჯეტო პოლიტიკის პერმანენტული სრულყოფა იძენს პირველხარისხოვან მაკრო მნიშვნელობას, რადგან სახელმწიფო ფინანსების მართვა კომპლექსური ფენომენია და დაკავშირებულია სახელმწიფო ფუნქციების განმახორციელებელ კრთიან ინსტიტუციურ ქსელთან [2, გვ. 126].

* * *

ამთავითვე ადსანიშნავია, რომ ქვეყნის საბიუჯეტო სისტემამ გარდამავალი ეკონომიკის განვლილ პერიოდში, მნიშვნელოვანი სისტემური ცვლილებები განიცადა მისი რეფორმირების თვალსაზრისით, რამაც უზრუნველყო საბიუჯეტო სისტემისა და მოწყობის მარეგლამენტირებელი ნორმების სისტემატიზაცია, საბიუჯეტო პროცესის ინსტიტუციონალიზაცია, საბიუჯეტო კლასიფიკაციების უნიფიკაცია, საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის რაციონალიზაცია, სახელმწიფო ფინანსების სარჯვის რეგლამენტაცია, ბიუჯეტობრივი

ქვეყნების მეოთხე ჯგუფი – უნგრეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკას არ გამოუყენებია მაკროპროდენციული პოლიტიკა ფინანსურ კრიზისამდე. კერძოდ, უნგრეთში კრედიტების გაცემაზე არ იყო შეზღუდვა, რადგან ეს აქტივობა მიმართული იყო ევროპავშირის ქვეყნებთან კონვერგენციაზე შემოსავლების ჭრილში. და მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედებამ გამოიწვია კრედიტების და საგირავნო სესხების მოცულობის სწრაფი ზრდა, ქვეყანა არ ცდილობდა დასახული პოლიტიკიდან გადახვევას სოციალური მიზეზების გამო. კრიზისის შემდეგ ცხადი გახდა, რომ აუცილებელი იყო მკაცრი ზომების გატარება, 2010 [Constancio Victor. 2017.gv.15] წლიდან ქვეყანამ დაიწყო საგირავნო აქტივების დენომინირების აკრძალვა უცხოურ ვალუტაში.

გონიერმა და წინდახედულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ და მოქნილმა საგადუტო რეჟიმმა ხელი შეუწიო ჩეხეთის რესპუბლიკას ფინანსურ სისტემას, თავი აერიდებინა არასტაბილურობისა და კრიზისის მძიმე „ხაფანგში“ მოხვედრისაგან. ფაქტი, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკას ხდის განსაკუთრებულს, არის ის რომ ქვეყანა არ გასცემს სესხებს უცხოურ ვალუტაში. ასევე მას აქვს გამართულად ფუნქციონირებადი მაკროეკონომიკური პოლიტიკის მენეჯმენტი, ინფლაციისა და საპროცენტო განაკვეთის დაბალი დონე, რამაც გარკვეულწილად ხელი შეწყო მის ფინანსურ სტაბილურობას. პოლიტიკის ეფექტიანობა ასევე იმითაცაა განპირობებული, რომ 1990-იანი წლების შუახანებში ქვეყანაში გატარდა საბანკო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ბევრი მცირე ზომის ბანკის დახურვას. აღსანიშნავია პრუდენციული პოლიტიკის განხორციელება, კერძოდ 2005 [Gil Indermit, Raiser Martin. 2012. გვ. 151-155] წლიდან ჩეხეთის ცენტრალურმა ბანკმა აიღო პასუხისმგებლობა კომერციულ, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიებზე. აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა მისი ფინანსური სტაბილურობა კრიზისის პერიოდშიც კი.

უნდა აღინიშნოს, რომ ირლანდიის, ლიტვის, სლოვაკეთის და გერმანიის საზედამხედველო ორგანოები მაკროპროდენციული პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით იძლევიან რეკომენდაციებს გირაოზე საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის ანალიზის ჩატარების შესახებ, რათა აღიკვეთოს შემდგომი გართულებები ქონების ბაზარზე.

ევროზონის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა საშინაო და საგარეო გამოწვევებზე. ევროზონის ქვეყნების ფინანსური ინტეგრაციის მიუხედავად, ისინი გარკვეულწილად მაინც სეგმენტირებულია. ზოგიერთი ქვეყანა მრავლად არის წარმოდგენილი უცხოურ ბაზრებზე შვილობილი კომპანიების თუ სხვა ფინანსური ინსტიტუტების სახით, რომლებიც შესაბამისად

ექვემდებარებიან მასპინძელი ქვეყნის რეგულაციებს. შესაბამისად, რთულდება პასუხისმგებლობის აღვა ეფრობის სამეთვალყურეო საბჭოების მიერ ასეთი ფილიალების ფინანსურ მდგრადობაზე, რადგან ფინანსური კავშირები საკ- მაოდ კომპლექსურ ხასიათს ატარებს.

-ეფრობის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველმყოფელი ინსტიტუტები პასუხისმგებელნი არიან თავიანთ ტერიტორიაზე არსებული ფინანსური ინსტიტუტების და საბანკო სისტემის მდგრადობაზე და არა უცხოეთში არსებული და დარეგისტრირებული კომპანიების სტაბილურობაზე, რომლებიც უცხოური კანონმდებლობით რეგულირდება.

- არ არის მჭიდრო კავშირი და მედიაცია ადგილობრივი და მასპინძელი ქვეყნების საზედამხედველო საბჭოებს შორის. აღნიშნული კავშირი გართულებულია იმის გამო, რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა რეგულაციებსა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის განსხვავებულ ინსტრუმენტებს.

-არ არსებობს მექანიზმი, რომელიც გადაანაწილებს რისკებსა და დანახარჯებს ეფროზონის ქვეყნებსა და მათ შეილობილ კომპანიებს შორის, რომლებიც საზღვარგარეთ არიან განლაგებულნი.

სანამ ეფროპა მსჯელობს რეგულაციებისა და კოოპერაციის, კოორდინაციის პროცესებზე, იყვეთება სხვა პროცესებაც: უცხოური ფინანსური სისტემის გავლენა ეფროკავშირის ქვეყნებზე.

დეცენტრალიზაცია – კრიზისამდე ფინანსური სტაბილურობის ფუნქცია დეცენტრალიზებული იყო ნაციონალურ დონეზე ცენტრალურ ბანკებს, საზედამხედველო საბჭოებს, ქონების მართვის და დეპოზიტების დამზღვევ კომპანიებს შორის (მიუხედავად ეფროპის ფინანსური სისტემის ინტეგრაციისა).

სეგმენტაცია – კრიზისამდე ფინანსური სტაბილურობის ფუნქცია გადანაწილებული იყო ქვეყნებსა და სექტორებს შორის. მაგალითად, საბანკო საზედამხედველო საბჭოები და ფინანსური კონგლომერატები დამოუკიდებლად ახორციელებდნენ ფინანსურ პოლიტიკას.

ინფორმაციის და მონაცემების ნაკლებობა – არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების გამოყენებას არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, ამასთან სიძნელეებს წარმოშობს ის ფაქტი, რომ სტატის- ტიკური მონაცემები ხშირ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი და საჯარო, ზოგი მონაცემი საერთოდ დაკარგულია, რაც წარმოშობს პროცედურებს მონა- ცემების ხარისხის კუთხითაც. მონაცემების ხარისხი, სიზუსტე და მოცულობა კი გადამზღვებ როლს თამაშობს სიტუაციის გაანალიზებაში, ამიტომაც ამგვარ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრეგბათ არა მარტო საზღვამხედველო საბჭოებს, არამედ მეკლევარებსაც.

ინსტრუმენტების გამოყენება – არ არის მიღწეული კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რომელი ინსტრუმენტი უნდა გამოიყენონ საზღვამხედველო საბჭოებმა. სიტუაციის გასაანალიზებლად ვეურდნობით Borio და Drehmann-ის - კლასიფიკაციას, რომლებიც გამოყოფენ ინსტრუმენტა 4 ჯგუფს [Borio, Drehman, 2012. გვ. 29-46].

1. ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები – აანალიზებენ წარსული გამოცდიდებიდან გამომდინარე საბანკო სისტემის და მისი მდგრმარეობის ეფოლუციას დროში.

2. წინმსწრები, გამაფრთხილებელი ინდიკატორები – მიმართულია ფინანსური რისკებისა და არასტაბილურობის პროგნოზირებასა და აღმოჩენაზე. ეს ინდიკატორები განსაზღვრავს რისკის მინიმალურად დასაშვებ დონეს, მის აქტუალურებას სპეციალური ბუშტის გასკლომის დროს და აგზავნის სიგნალს ეკონომიკაში, რაც იმის მანიშნებელია, რომ მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების აქტიურად გამოყენება არის საჭირო.

3. Vector Autoregression Models(VAR) – იუქნებს ეკონომეტრიკულ მოდელებს გაონომიკური აქტივობის გასაანალიზებლად, ასევე ახდენს შემთხვევითი კაგ-შირების იღენტიფიცირებას საბანკო და ეკონომიკურ აქტივობას შორის. ეკონომეტრიკული მოდელები ფართოდ გამოიყენება, რაღაც გამოკვლევებიდან იკვეთება, რომ სცენარები, რომელიც აგებულია სხვადასხვა შოკების გათვა-ლისწინებით, კარგად პროგნოზირებს ეკონომიკაში სტაბილურობისა თუ არა-სტაბილურობის პერიოდებს.

4. მაკრო სტრესს მოდელები – ამოწმებს საბანკო სისტემის მდგრადობას მაკროეკონომიკური შოკების მიმართ და სხვადასხვა სიმულაციური მოდელების აგების საფუძველზე იძლევა რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებ-ლობას.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ეპროპულ ქვეყნებში განხორციელებული წინ გადადგმული ნაბიჯებისა, მაკროპრუდენ-ციული და საბანკო-საფინანსო ზედამხედველობის მიმართულებით, რეგიონში მაინც იკვეთება ეფექტიანი მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამოყენების პრობლემები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ აღნიშნული პოლიტიკა ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია, მას არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული ჩარჩო-პირობები და სრულყოფილი მექანიზმი, რადგანაც მის აქტიურ გამოყე-ნებაზე მსჯელობა მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ დაიწყო. ევროზონის ქვეყნების ცენტრალური ბანკები და საზედამხედველო ორგანოები მუდმივად ახორციელებენ ამ მიმართულებით გასატარებელ ლონისძიებებს და მიმართავენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, ასევე აქტიურად იყე-ნებენ სტრეს-ტესტირებას, როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე მოლიანად ევროზონის ფინანსური სტაბილურობის შესაფასებლად, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება ზემოაღნიშნული ინსტრუმენტები.

დასკვნა

2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დღეისათვის არსებული მაკროეკონომიკური და მაკროპრუ-დენციული ზედამხედველობის ტრადიციული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას. დღის წესრიგში დადგა საფინანსო რეგულირებისა და საბანკო ზედამხედველობის რეფორმირების, გამკაცრების და მაკროპრუ-დენციული ნორმების შემოღების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ევ-როპაში მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამოყენების მიმართულებით საკ-მაოდ წინ გადადგმული ნაბიჯები შეინიშნება, ამ რეგიონში მაინც იკვეთება რიგი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე აქტიურად მუშაობენ საერთა-შორისო ფინანსური ინსტიტუტები, კერძოდ: ევროპის ცენტრალური ბანკი (ECB), ბაზელის კომიტეტი (Basel committee), ევროპის სისტემური რისკების საბ-ჭო (European Systemic Risk Board) და ევროპის ფინანსური სტაბილურობის საბ-ჭო (European Financial Stability Board). უნდა აღინიშნოს, რომ მაკროპრუდენციუ-ლი პოლიტიკის ეფექტიანი გამოყენების პრობლემას განაპირობებს ის გარე-მოებაც, რომ მაკროპრუდენციული პოლიტიკა ჯერ კიდევ ფორმირების პრო-ცესშია და საჭიროებს ჩარჩო-პირობების შემდგომ დახვეწისა და გაუმჯო-ბესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Basel Committee on Banking supervision, June 2016, Regulatory Consistency Assesmnet Program, pp 23.
2. Borio, Drehman. Assessing the risk of banking crises – revisited”, 2012, BIS Quarterly Review, March, pp. 29-46.
3. Deutsche Bundesbank, 2015, „The importance of macrprudencial policy for monetary policy”, pp 43.
4. European Central Bank, 28 October 2015, Macroprudential Policy in Europe: ensuring financial stability, pp 3-5.
5. Estrada A, 2012,, Spanish Boom-Bust and Macropredential Policy ”, p-27-28.
6. Constancio Victor (Vice –President of ECB), 28 Oct, 2015 „Macroprudential Policy in Europe: ensuring financial stability in, euro area”, pp 12-15
7. Gil Indermit, Raiser Martin(worlds banks Chief economists), 2012, „The Golden Growth”, pp 151-155.

*Nino Zhorzhikashvili
Magistrature student of macroeconomics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**MACROPRUDENTIAL POLICY AND ITS EFFECTIVE USE PROBLEMS
(EUROPEAN EXPERIENCE)**
Expanded Summary

The global financial crisis of 2008 once again raised the issue of more active use of macroprudential policy, as it was revealed that the microprudential policy and its regulations were not sufficient for financial stability. Macroprudential policy-policy that focuses on the regulation of the entire banking system, which includes the identification of the systemic and financial risks and aims to eliminate economic losses at a minimum level , monitoring and control, pursuing the regulatory and countercyclical policy in financial sector to ensure economic stability.

The purpose of the Macropredential Policy is to increase the sustainability of the financial system towards endogenous shocks to limit financial imbalance and to minimize macroeconomic expenses caused by financial instability. To do this, it is necessary to carry out countercyclical policy and to prevent risks in this regard.

Effective implementation of the macroprudential approach depends on supervision and coordinated action by the central bank. Central banks are naturally involved in implementing macroprudential policy. Monetary policy is more actively using unconventional methods and instruments of regulation as tools of macroprudential policy. Before the global financial financial crisis, there was a spread opinion about existing conflict between macroprudential and monetary policies, but crisis revealed the need of close cooperation of these policies.

The ECB monitors developments in the banking sectors of the euro area and the EU as a whole, as well as other financial sectors, to identify any vulnerabilities and check the resilience of the financial system. It carries out these tasks together with the other central

banks of the Eurosystem and the European System of Central Banks. The emergence of possible systemic risks in the financial system is addressed through macroprudential policies. The overarching goal of macroprudential policy is to preserve financial stability. In the Euro Area, macro-prudential policy seems of particular relevance. Indeed, within the framework of the single monetary policy Member States can no longer use the interest rate to address domestic imbalances. Against the background of the current loose monetary policy stance and the low interest rate environment, macro-prudential instruments could be useful tools to prevent the building up of asset bubbles, excessive private/household debt and excessive banks' leverage.

Discussing the active use of macroprudential policy in the European region has been started during the global financial crisis, and the results of recent years have shown the success of implementing the practice of mentioned policy instruments. Specifically, such instruments are used, such as the loan To value (LTV), Loan To Income (LTI) and capital countercyclical buffer.

Nevertheless, Euro Union countries have begun urgent implementation and adoption of macroprudential policy, countries differ in this regard and we can divide them in 4 groups:

1. Countries actively using macroprudential policy and have more experience in this regard
2. Countries that use this policy and its instruments in small doses.
3. Moral conviction - countries that seek to morally and verbally act on separate sectors of economy, households and firms. However, the efficiency of the emphasized policy is based on country's government reputation.
4. Countries that do not use macroprudential policy tools.

In Euro region we can emphasize several problems in regards of effective use of macroprudential policy:

-There is no close connection and mediation between the local and host countries between supervisory bodies. This connection is complicated because they use different regulations and different tools of macroprudential policy.

-There is no mechanism that distributes risks and expenses between the eurozone countries and their subsidiary companies that are located abroad.

-While Europe is discussing the problem of coordination, other problems have also occurred: the influence of the foreign financial system on EU countries.

-Decentralization - Before the crisis, the financial stability function was decentralized at the national level between central banks, supervisory boards, property management and deposit insurance insurers (despite the European Financial System integration).

-Segmentation-before crisis, financial stability function was distributed between countries and sectors. For example, banking supervisory boards and financial conglomerates independently implementing financial policy.

-The lack of information and data- statistical data is not often available and some data are lost at all, which generates problems in terms of data quality. Quality, accuracy, and volume of data are playing a crucial role in analyzing the situation.

Keywords : macroprudential policy, financial stability, capital countercyclical buffer, financial crisis.

გიორგი მიქელაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

06300 სტატიის ტემაზე ნაკადების მოდელის ემართიული რეალიზაცია
(საქართველოს მაბალითზე)

სტატია ფინანსურად მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის მიერ პროექტის № PhDF2016_238

რეზიუმე

სტატიაში გმპირიულად შემოწმებულია რ. კოპკეს ინვესტიციების ფუ-
ლადი ნაკადების მოდელი საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე. მოდელის
ემპირიული რეალიზაციის დროს ეკონომიკურ ინდიკატორთა შესახებ ინფორ-
მაციის ნაკლებობისა თუ არარსებობის პრობლემა გადაჭრილია სხვადასხვა
ეკონომიკური მეთოდით (ჩამნაცვლებელი ცვლადების გამოყენება, მონაცემთა
გამოთვლა სხვა განტოლების მეშვეობით და ა.შ.). ემპირიული კვლევებით დად-
გენილია, რომ მთლიანი ინვესტიციების მნიშვნელობა, კომპანიების ბრუნვის
მიმდინარე და ლაგირებული მნიშვნელობა ზრდად დამოკიდებულებაშია. ამას-
თან ძირითადი კაპიტალის მოცულობის სტატისტიკურად უმნიშვნელობის გამო
მოდელიდან გამორიცხულია.

საკვანძო სიტყვები: მთლიანი ინვესტიციები, ინვესტიციების ფულადი ნაკა-
დების მოდელი, კომპანიების ბრუნვის მოცულობა.

JEL Codes: P. 20, P. 31, P. 40, P. 52

შესავალი

ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელი დაფუძნებულია პოსტუ-
ლატზე, რომელიც გულისხმობს, რომ ფირმის ფულადი შიდა ნაკადი გვევ-
ლინება ინვესტიციების ძირითად წყაროდ. ამასთან, ინვესტიციების განხორ-
ციელება კომპანიის შიდა სახსრებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კომპა-
ნიის გარედან მოზიდული ფულადი ნაკადებით, როგორიცაა: აქციების გამოშ-
ვება, თანაზიარი კაპიტალის მოზიდვა და ა.შ. ინვესტიციების ფულადი ნაკადის
მოდელის მიხედვით, საინვესტიციო ხარჯები არის კომპანიის ფულადი ნაკა-
დების ფუნქცია. შესაბამისად, კაპიტალის ოპტიმალური დონე განისაზღვრება
არა გამოშვების დონით, როგორც ინვესტიციების აქსელერატორის მოდელში
გვხვდება, არამედ მოსალოდნელი მოგების რაოდენობით ან ფაქტობრივი შე-
მოსავლით.

ვინაიდან საქართველო წარმოადგენს განვითარებად ქვეყნას და განვი-
თარებადი ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინვესტი-
ციების მოცულობაზე, მნიშვნელოვანია გამოვლინდეს მთლიან ინვესტიციებზე
მოქმედი ეკონომიკური ინდიკატორების სპექტრი, რათა ეკონომიკური პოლი-
ტიკის გამტარებლებს მიეცეთ ინვესტიციების მოცულობაზე ზემოქმედების სა-
შუალება. მთლიან ინვესტიციებზე კომპანიის შიდა ფულადი სახსრების ეკო-
ნომიკური გავლენის ანალიზისთვის საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე
სასურველია ემპირიულად შემოწმდეს ინვესტიციების ფულადი ნაკადების
მოდელის სტატისტიკური გარგისიანობა და მოხდეს შედეგების შედარება სხვა
ქვეყნის მაგალითზე ჩატარებულ კვლევებთან.

ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელი და მისი ემპირიული რეალიზაცია

ი. გრუნფილდის მიხედვით, კაპიტალის ოპტიმალური მოცულობა არის მოსალოდნელი შემოსავლის წრფივი ფუნქცია. კომპანიის მოსალოდნელი შემოსავალი გამოხატულია ფირმის საბაზო ღირებულებით:

(1)

თუ (1)-ს ჩაგსვავთ მთლიანი ინვესტიციების საბაზო მოდელში, რომელსაც ასეთი სახე გააჩნია [Bernd, 2005: 278-281]:

(2)

მიღებულ შედეგს ექნება შემდეგი სახე:

(3)

აღნიშნული მოდელის მიხედვით, ინვესტიციებზე დიდ გავლენას ახდენს ფირმის საბაზო ღირებულება.

კ. მეიერი, კ. კუხი, კ. დიუსემბერი და სხვა მეცნიერები თვლიდნენ, რომ კაპიტალის ბაზები საგრძნობი ნაკლოვანებებით ხასიათდება. მეცნიერები აღნიშნავდნენ რომ, როდესაც იზრდება ვალების და შემოსავლების ფარდობა, მაშინ სასურველია, (1) მოდელში კომპანიის საბაზო ღირებულება შეიცვალოს მეტად ლიკიდური ცვლადით: შემოსავლით, გადასახადებით, კორექტირებული შემოსავლით და სხვ.

ხელმისაწვდომი კაპიტალი განისაზღვრება ფულადი ნაკადებით, რომელიც არის შემოსავლის დამოკიდებული ცვლადი. აღნიშნული შემოსავალი კორექტირებულია გადასახადებით, დივიდენდებით და ამორტიზაციული ხარჯებით.

ფირმის დაფინანსების ერთადერთ წყაროს არ წარმოადგენს შიდა ფულადი ნაკადი. კომპანიას შეუძლია მოიზოდოს სასესხო კაპიტალი. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ სასესხო კაპიტალი გვაძლევს საშუალებას გაიზარდოს ფირმის ძირითადი ფონდები, მისგან მიღებული ამონაგები იქნება მცირე, ვინაიდან კომპანიას უწევს კაპიტალის გამოყენების საფასურის გადახდა. შესაძლებელია სასესხო კაპიტალის გამოყენებისას კომპანიის აქციონერები და მენეჯმენტი შეიზღუდოს შესაძლებლობებში, რაც ინვესტიციების მიზნობრიობის ცვლილებას გამოიწვევს.

ინვესტიციების დაფინანსების მესამე წყარო არის კომპანიის აქციების გმისია. ფირმისთვის მნიშვნელოვანია აქციების ღირებულება, ვინაიდან მისი გამოყენება შესაძლებელია სამომავლო კაპიტალის დასაფინანსებლად. ამ სახით კომპანიის ძირითადი ფონდების დაფინანსება ხასიათდება რისკით, რადგან ახალ აქციონერებს აქვთ დივიდენდების მიღების და კომპანიის მართვის უფლება მთლიან აქციებში მათი აქციების წილის პროპორციულად.

ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელში არ არის ნათელი ფაქტი: ფულადი ნაკადები გავლენას ახდენს კაპიტალის სასურველ მოცულობაზე (-ზე) თუ კაპიტალის მოწყობის სიჩქარეზე (გ-ზე). ორივე მტკიცებულების გან-

ხილვა მნიშვნელოვანი დასკვნების გაპეტების საშუალებას იძლევა. მაგალითად, თუ ფულადი ნაკადები მოქმედებს ე-ზე, მაშინ ის იქნება ენდოგენური ფაქტორი და არა ეგზოგენური, როგორსაც ვთვლიდით წინა მოდელებში.

ფულადი ნაკადების გამოყენებისას სასურველია შეფასდეს მისი ლაგის სიგრძე და, ამასთან, მოხდეს მისი ნომინალური ღირებულების დევლირება. ინვესტიციების ფულადი ნაკადების ზოგადი მოდელი რიჩარდ კოპკემ შემდეგი სახით ჩამოაყალიბა და შემდეგ ემპირიულად შეამოწმა [Bernd, 2005: 281]:

-

(4)

სადაც არის შესაფასებელი პარამეტრები, F – შიდა ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებაში, J – ძირითადი ფონდების ასალი ელემენტების ფასების ინდექსი.

რიჩარდ კოპკემ 1982 წელს ემპირიულად შეამოწმა ფულადი ნაკადების მოდელი, სადაც არის დამოკიდებული ცვლადი. მკვლევარი კვლევის ეტაპებზე იყენებდა ლაგის სხვადასხვა სიგრძეს აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე. კვლევის პირველ ეტაპზე მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ ფულადი ნაკადები არ ახდენდა არსებით გავლენას აღჭურვილობასა და შეიარაღებაზე კვლევის მეორე ეტაპზე მან მიიღო მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ფულადი ნაკადები შედარებით დიდ გავლენას ახდენს შენობა-ნაგებობებზე, ვიდრე აღჭურვილობაზე. აღსანიშნავია ფაქტი, კვლევის პირველ ეტაპზე, სადაც ჩართული ფაქტორების ლაგების სიგრძე შედარებით დიდი კოეფიციენტების კლება-ზრდის ტენდენციების განმეორებადობა ქმნიდა ხერხისებურ ფორმას. კვლევის მეორე ეტაპზე კოეფიციენტებს ჰქონდა შემცირების ტენდენცია [Bernd, 2005: 281-283].

რ. კოპკეს მიერ ფულადი ნაკადების მოდელის შეფასებისას

მნიშვნელობა სტატისტიკურად ნულთან ახლოსაა. კაპიტალის ლაგირებული მნიშვნელობა მოდელში არ არის მნიშვნელოვანი და მეცნიერმა კვლევის შემდეგ ეტაპზე ეს ცვლადი უგულებელყო.

მოდელის შეფასებისას პირველ ეტაპზე -ს მნიშვნელობები მერყეობს 0,81-0,83 შუალედში, ხოლო მეორე ეტაპზე 0,936-0,956.

ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელის ემპირიული რეალიზაცია
საქართველოს მაგალითზე

ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელის შესაფასებლად საქართველოს მაგალითზე განვიხილოთ (4) მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტი, სადაც ამსხნელ ცვლადებად კომპანიების ბრუნვის მოცულობა იქნება განხილული. დაკვირვებათა რაოდენობა შეადგენდა 48-ს, 12 წლის კვარტალურ მონაცემებს. ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელი აიგება 9 წლის კვარტალური მონაცემების საფუძველზე (2006-2014). ლაგის სიგრძედ კომპანიის ბრუნვაში განვიხილავთ $j=1$. ვინაიდან საქართველოს ძირითადი კაპიტალის შესახებ არ არსებობს ემპირიული ინფორმაცია, მის მნიშვნელობებში გავითვალისწინებით აქსელერატორის მოდელის რეალიზაციით მიღებული რეალური კაპიტალის კვარტალურ მონაცემებს [მიქელაქე, 2016: 104-107]. საბოლოოდ შესაფასებელ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

(5)

დოლადოს, ჯენკინსონისა და სოსვილა-რივეროს მიერ შემოთავაზე-ბული პროცედურით დროითი მწკრივები უნდა შემოწმდეს და დადგინდეს, თუ რომელი ტიპების არის TSP თუ DSP. კერძოდ TSP ტიპი გულისხმობს, რომ მწკრივები არიან არასტაციონალურები ცვალებადი ტრენდის გამო, ხოლო DSP ტიპისას-არის არასტაციონალური ცვალებადი დისპერსიის გამო [Dolado... 1990: 249-273]. აღნიშნული ტესტის გამოყენებით ოთხივე მწკრივში მიიღება ნულო-ვანი ჰოპოთეზა ერთეულოვანი ფესვის არსებობაზე [Dickey... 1979: 427-431], რაც მათ არასტაციონალურობას გულისხმობს. მწკრივების გასასტაციონალურებ-ლად სხვაობებზე გადასვლით დგინდება რომ მოლიანი ინვესტიციები წარ-მოადგენს I(1) პროცესს. I(2)-ს წარმოადგენს ბრუნვის მიმდინარე და ლაგი-რებული მნიშვნელობები, ხოლო კაპიტალის ლაგირებული მნიშვნელობა, t-1 პერიოდში ტრენდ-სტაციონალურია. მოდელის აგებისას შედეგობრივი ცვლა-დის როლში იქნება ხოლო ამსხელ ცვლადებად მეორე რიგის სხვაობები , და დეტრენდირებული . რაც შემდეგნაირად ჩაიწერება:

(6)

(6) მოდელის რეალიზაციით მივიღებთ:

ცხრილი 1

უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებული ინვესტიციების ფულადი
ნაკადების ($j=1$) მოდელი

Dependent Variable: I_D
Method: Least Squares
Date: 08/14/17 Time: 20:51
Sample (adjusted): 2006Q4 2014Q4
Included observations: 33 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
B_D2	0.240569	0.043700	5.505071	0.0000
B_D2_1	0.128741	0.045939	2.802393	0.0089
DET_K_1	-0.101964	0.089491	-1.139374	0.2639
C	29.22731	61.16683	0.477829	0.6364
R-squared	0.555701	Mean dependent var	27.98288	
Adjusted R-squared	0.509739	S.D. dependent var	500.3161	
S.E. of regression	350.3145	Akaike info criterion	14.66875	
Sum squared resid	3558887.	Schwarz criterion	14.85015	
Log likelihood	-238.0344	Hannan-Quinn criter.	14.72979	
F-statistic	12.09046	Durbin-Watson stat	2.504690	
Prob(F-statistic)	0.000026			

თუ მოდელიდან გამოგრიცხავთ სტატისტიკურად არამნიშვნელოვან ცვლადებს (თავისუფალ წევრს და დეტრენდირებული კაპიტალის ლაგირებულ მნიშვნე-ლობას) მივიღებთ:

ცხრილი 2

უმცირეს კგადრატთა მეთოდით შეფასებული ინგესტიციების ფულადი
ნაკადების ($j=1$) მოდელი, რომლიდანაც სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი
ცვლადები გამორიცხულია

Dependent Variable: I_D

Method: Least Squares

Date: 08/14/17 Time: 20:50

Sample (adjusted): 2006Q4 2014Q4

Included observations: 33 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
B_D2	0.251868	0.042218	5.965904	0.0000
B_D2_1	0.109348	0.042219	2.590004	0.0145
R-squared	0.533460	Mean dependent var	27.98288	
Adjusted R-squared	0.518410	S.D. dependent var	500.3161	
S.E. of regression	347.2027	Akaike info criterion	14.59639	
Sum squared resid	3737040.	Schwarz criterion	14.68708	
Log likelihood	-238.8404	Hannan-Quinn criter.	14.62690	
Durbin-Watson stat	2.505713			

(7)

როგორც ვხედავთ, დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტები შეადგენს 0.53 და 0.52, რაც მიუთითებს რომ შედეგობრივი ცვლადის უკეთ ასახსნელად მოდელში სხვა ფაქტორებიც უნდა იყოს ჩართული. მოდელში ჩართული ცვლადების კოეფიციენტების შესახებ მიიღება

პიპოტეზა, რაც მათ სტატისტიკურად მნიშვნელოვნებას მიუთითებს [ანანიაშვილი, 2010: 109-129]. მოდელის ნარჩენობით წევრების განაწილება ექვემდებარება ნორმალურს. დარბინ-უიტსონის ტესტის გათვალისწინებით ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობის შესახებ ვერაფერს ვიტვით, ვინაიდან მოდელი არ შეიცავს თავისუფალ წევრს, რაც ტესტის გამოყენების ერთერთ დაშვებას წარმოადგენს [ანანიაშვილი, 2014: 10-13]. თუმცა ბროიშ-გოდფრის ტესტის მიხედვით, ნარჩენობით წევრებში არ არსებობს ავტოკორელაციის პრობლემა 1% მნიშვნელოვნების დონით [Breusch, 1978: 334-355; Godfrey, 1978: 1293-1301]. ასევე ვაიტის ტესტის მიხედვით, ნარჩენობით წევრებში არ შეინიშნება პეტეროსკეტასტურობა 1%-იანი მნიშვნელოვნების დონით. აღნიშნული შედეგების გათვალისწინებით შედეგობრივ ცვლადს სხინის ფაქტორული ცვლადები, ამასთან, მოდელში შესაძლოა ჩაირთოს სტატისტიკურად სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები (რომლებსაც თეორიული მოდელი არ ითვალისწინებს), რათა დეტერმინაციის კოეფიციენტი 1-ს მიუახლოვდეს. ამასთან, F=17.15, F>, რაც მოდელის გარგიასიანობაზე მიუთითებს [ანანიაშვილი, 2010: 109-129]. $j=0$ შემთხვევაში მოდელში მიიღება ანალოგიური შედეგები, თუმცა $j=1$ შემთხვევაში ფაქტორული ცვლადების ამსხნელობითი უნარი უმჯობესდება (იზრდება დეტერმინაციისა და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა). ამასთან, ფაქტორული ცვლადების ლაგური მნიშვნელობის ჩამატება მოდელში ($j=3;4;\dots$), არათუ აუმჯობესებს შედეგებს არამედ აუარესებს.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელის ემპირიული რეალიზაციით დგინდება, რომ მოდელი სტატისტიკურად ვარგისია.

მთლიანი ინვესტიციების მოცულობასთან ზრდად დამოკიდებულებაშია კომპანიების ბრუნვის მიმდინარე და ლაგირებული მნიშვნელობა. მიმდინარე პერიოდის ბრუნვის მოცულობა მეტად ზრდის ინვესტიციების რაოდენობას, ვიდრე მისი ლაგირებული მნიშვნელობა, რაც ლოგიკური შედეგია. მიმდინარე პერიოდში კომპანიის ბრუნვის მოცულობის ზრდისას მიიღება შიდა ფულადი სახსრებით ინვესტიციების განხორციელების გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდში კომპანიის ბრუნვის მოცულობის კავშირი მიმდინარე პერიოდის ინვესტიციების მოცულობასთან გამოწვეულია ინვესტიციების განხორციელების დროში დაყოვნების პროცესით. ვინაიდან ინვესტიციები ხორციელდება პერიოდულად და არა ერთდროულად, შესაბამისად იგი გადადის შემდეგ დროით ტაქტში. სწორედ აღნიშნულ პროცესს ასახავს მოდელში ფაქტორული ცვლადის ლაგირებული მნიშვნელობა.

ინვესტიციების თეორიული მოდელისგან განსხვავებით, საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე აგებული მოდელი არ შეიცავს თავისუფალ წევრს და ფაქტორულ ცვლადად ძირითადი კაპიტალის მოცულობას.

ინვესტიციების ემპირიული მოდელის დეტერმინაციის და კორელაციებული დეტერმინაციის კოეფიციენტები მიგვთითებს, რომ მოდელს აკლია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორული ცვლადი ან ცვლადები. სასურველია ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება და პასუხის გაცემა კითხვაზე აღნიშნული ცვლადები წარმოადგენს კომპანიის შიდა ფულად სახსრებს თუ კომპანიის გარეთ მოძიებულ დაფინანსების წყაროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი. 2014. დროითი მწკრივების ანალიზი. თსუ, თბილისი,
2. ანანიაშვილი ი. 2010. ეკონომეტრიკა. მერიდანი. თბილისი,
3. მიქელაძე გ. 2016. საქართველოს ძირითადი კაპიტალი და მისი გამოვლის ალტერნატიული მეთოდები. ქ. ეკონომიკა 5-6, გვ. 94-111.
4. Bernd Ernst R. 2005. “Classical and modern”. Applied econometric. Moscow, Iunitidana, pp. 847.
5. Breusch, Trevor S. 1978. “Testing for autocorrelation in dynamic linear models”. Australian Economic Papers 17, pp. 334-355.
6. Dickey, David A., and Wayne A.Fuller. 1979. “Distribution of the estimators for autoregressive time series with a unit root. “Journal of the American statistical association 74.366a, pp. 427-431.
7. Dolado, Juan J., Tim Jenkinson, and Simon Sosvilla-Rivero. 1990. “Cointegration and unit roots.” Journal of economic surveys 4.3, pp. 249-273.
8. Godfrey, Leslie G. 1978. “Testing against general autoregressive and moving average error models when the regressors include lagged dependent variables.” Econometrica: Journal of the Econometric Society, pp. 1293-1301.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა ბრუნვა, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე:
http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo

10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი ინფერიტი-ციების რაოდენობა, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე:
http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

*Giorgi Mikeladze
Doctoral student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

EMPIRICAL REALIZATION OF INVESTMENT CASH FLOW MODEL

(CASE OF GEORGIA)

Expanded Summary

The article empirically tests R. Kopke's investment cash flows model according to Georgian economy. During empirical realization of the model problems of lack of information or non-existent data are resolved by different economic methods (using Substitutive variables, estimation data of other econometric model and etc.).

Empirical model's dependent variable is Georgia's total real investment as factor variables are Georgia's total real capital, companies' turnover and their lagged values. Because of lack of empirical information about Georgia's total capital, indicator values are estimated according L. M. Koyck's private modification of investment accelerator model. For the same reason in the model factor variable of companies' total internal cash flow are replaced with substitutive variable, companies' total turnover. Factor variables' lags length are not defined in the investment cash flow model. To overcome mentioned problem factor variable's lag length was gradually increased, which revealed that statistically optimal length was equal to 0.

Empirical model's residual members are distributed normally. Durbin-Watson test is not recommended for checking autocorrelation in residual member, because model assumption is violated: model does not contain a constant [Ananiashvili, 2014: 10-13]. Breusch-Godfrey's Lagrange multiplier (LM) test is recommended for checking serial correlation in residual member. According to the null hypothesis of LM test there is no autocorrelation in residual member, whereas alternative hypothesis states that there is serial correlation in residual member [Breusch, 1978: 334-355; Godfrey, 1978: 1293-1301]. Breusch-Godfrey test results show that null hypothesis is statistically significant, which states that there is no serial correlation in residual member.

While checking heteroscedasticity in residual member with White null hypothesis is accepted with 99% confidence interval, which means existence of homoscedasticity. Accordingly, variance of residual member is constant.

It is shown that the coefficients of Georgia's total capital and constant member are not statistically significant as for other coefficients H1 hypothesis of T-test is accepted for statistical significance. Therefore, non-significant factors are excluded from the model. After stated changes empirical model has following form:

Also, coefficients of determination and corrected determination have values - 0.53 and 0.52 accordingly, which shows that model variation is explained by model variables but theoretical model does not include statistical significant factor or factor group. To increase determination coefficients it's recommended to reveal variables and insert them into model. Also, $F=17.15$, $F_{cr}=5.39$, $F>F_{cr}$ shows that model is valid [Ananiashvili, 2010: 109-129].

The empirical research confirms positive correlation between amount of total investment and companies' current and lagged turnover. Current period's turnover has a relatively greater effect than it's lagged value, which is logical consequence. In the current period during companies turnover growth decision of internal cash flow investment is made. Delayed process of investments' realization lead to relationship between current period's investment with previous period's companies' turnover, because investment process has gradually character nor instant. Accordingly investment process includes not only one time period, but also next periods too. In the model factor variable's lagged value reflects stated process.

Empirical cash flow investment model does not include constant and total capital as factor variables unlike theoretical model.

According values of determination coefficients Empirical investment model does not include statistically significant variable or group of variables. Therefore, it is desirable to continue research in this direction to find answer question non-existed variables are internal or external funding source.

Keywords: Total investments, Investment cash flow model, total turnover of companies.

JEL Codes: P 20, P 31, P 40, P 52

ვანო ბერიძე
ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მაგისტრი, ეკონომიკურ და ბიზნეს მეცნიერებათა
უმაღლესი სკოლის მაგისტრი, თსუ-ის დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტი

პედიოდურის ეკონომიკური თეორია და
კეთილდღეობის ალტერნატიული ინდიკატორები

რეზიუმე

სტატიაში ახსნილია ბედნიერებასა და ეკონომიკას შორის კავშირი, შეფასებულია მოსახლეობის კეთილდღეობის გაზომვის მეთოდოლოგიური და კეთილდღეობის მაქსიმიზაციის განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხები.

ნაშრომში გაანალიზებულია უცხოელ მკვლევართა შეხედულებები ბედნიერების ეკონომიკური თეორიის შესახებ და შემოთავაზებულია მთლიანი შიგა პროცესების ალტერნატიული საზომები.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული კეთილდღეობის საზომი – მთლიანი შიგა პროცესები, ვერ ასერხებს სრულად ასახოს ადამიანთა ბედნიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორები. თუმცა, რადგან დღეს მთლიანი შიგა პროცესები ყველაზე კარგად შესწავლილი ინდიკატორია, შეგვიძლია ვივარავდოთ, რომ მისი ჩანაცვლება ალტერნატიული საზომით ახლო მომავალში არ მოხდება. შესაძლებელია იმის გარაულიც, რომ თანხათან მეტი ქვეყნები მოახდენენ ბედნიერების ინდიკატორების სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეტაპობრივ ჩართვას.

საკვანძო სიტყვები: ბედნიერების ეკონომიკა, მოსახლეობის კეთილდღეობა, მთლიანი შიგა პროცესები, პროგრესის ალტერნატიული საზომი.

ეკონომიკა და ბედნიერება: მოკლე ისტორია

ბედნიერება¹² ის ერთადერთი მიზანია, რომელიც ადამიანებს აერთიანებს და რომლისკენაც კაცობრიობა ოდითგანვე მიისწავის. ეკონომიკის, ისევე როგორც ნებისმიერი საზოგადოებრივი პროცესის, უმთავრესი მიზანი კი ადამიანია. ბედნიერების ეკონომიკური თეორიის საკითხის კვლევა აქტიურად XX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, თუმცა ბედნიერების ცნება ეკონომისტების ინტერესის საგანს ეკონომიკის, როგორც სოციალური მეცნიერების, ჩამოყალიბების დღიდან წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1759 წელს წიგნში “მორალური სენტიმენტების თეორია”, ადამ სმითი მაფიოდ განმარტავს, რომ ადამიანისთვის ნამდვილი ბედნიერება არა სიმძიდრეს და დიდებას, არამედ სიბრძნეს და სათონებას მოაქს. ა. სმითი წერს: “ადამიანი მოქმედებისთვის შეიქმნა და საკუთარი შესაძლებლობების დაძაბვით ხელი უნდა შეუწყოს თავისი და სხვების, გარემო პირობების შეცვლას იმგვარად, რომ ამით საუკეთესო იქნეს უზრუნველყოფილი თითოეულის ბედნიერება” [Smith, 1759/1761, p. 187]. XVIII საუკუნის სხვა გამოჩენილი ეკონომისტებიც, მაგალითად, თომას მალოუსი და ჯერემი ბენთამი, ხშირად წერდნენ ბედნიერებასა და ეკონომიკას

¹²“ბედნიერება”, “სუბსტიტუტურული ბედნიერება”, “პროგრესი”, “კეთილდღეობა” და “განვითარება” ერთი და იგივე მნიშვნელობის მატარებელია.

შორის კაგშირზე [Malthus 1798/1968; Bentham 1776/2001]. ნიშანდობლივია, რომ ადრეული, კლასიკური ეკონომისტებისთვის სარგებლიანობის მაქსიმიზაცია, რომელიც მოგვიაჩებით ფულის ან მთლიანი შიგა პროდუქტის (GDP)¹³ მაქსიმიზაციასთან გაიგიყდა, ბევრად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბედნიერებასთან, ვიდრე უბრალოდ სიმდიდრის დაგროვებას ან ეკონომიკურ ზრდასთან.

XIX და ადრეულ XX საუკუნეებში ჩამოყალიბებულმა კონსუმერიზმა, ეკონომიკურმა წესრიგმა, რომელიც ადამიანს სულ უფრო მეტი პროდუქტისა თუ სერვისის შეძენისკენ უბიძებდა, ფაქტობრივად გაათავისუფლა ეკონომიკური ურთიერთობები მორალური და ზნეობრივი ფასეულობებისაგან. კლასიკურ და ხეოკლასიკურ ეკონომიკაში ადამიანთა კეთილდღეობა და ბედნიერება მხოლოდ მათ ფულად სიმდიდრესთანად გაიგივებული, ხოლო ქვეყნის პროგრესი კი მისი GDP-ის ზრდასთან (Bruni, 2007, p. 160).

ეკონომიკაში დიდხანს მივიწეული ბედნიერების ცნება XX საუკუნის მეორე ნახევარში დაბრუნდა. ინგლისელმა ეკონომისტმა არტურ პიგუმ განაცხადა, რომ ბედნიერება და მატერიალური დოვლათი ერთმანეთთისგან განსხვავდებული ცნებებია და რომ მატერიალური კეთილდღეობა ადამიანური ბედნიერების ალგორითმის მხოლოდ შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს [Pigou, 1951, pp. 287-302]. ამ პრობლემას პირველი ემპირიული კვლევები ფინქოლოგმა ჰედლი კენტრილმა და ეკონომისტმა რიჩარდ ისტერლინმა მიუძღვნეს. კენტრილმა კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ ადამიანთა შემოსავლებსა და მათ ბედნიერებასთან შორის ძლიერი დადებითი სტატისტიკური კორელაცია იყო [Cantril, 1965, pp. 194-195]. თუმცა, მოგვიანებით, 1974 წლის ისტერლინის კვლევამ, რომლის შედეგებიც “ისტერლინის პარადოქსის” სახელწოდებითაცაა ცნობილი, უარყო კენტრილის დაკვნები და შემოსავლებსა და ბედნიერებას შორის კაგშირს ვერ მიაკვლია [Easterlin, 1974, p. 108]. კენტრილისა და ისტერლინის მოსაზრებების დიამეტრული განსხვავებულობის მიუხედავად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სწორედ ამ მეცნიერების ადრეულმა კვლევებმა ჩაუყარა საფუძველი ბედნიერების ეკონომიკური თეორიის არსის მომდევნო წლებში უფრო ღრმად შესწავლას და გააჩინეს კითხვები GDP-ის, როგორც კეთილდღეობის საზომი ერთეულის, ავგარგიანობასთან დაკავშირებით.

მთლიანი შიგა პროდუქტის ნაკლოვანებანი


ქვეყანათა პროგრესის და მათი მოსახლეობის კეთილდღეობის მსოფლიოში კველაზე გავრცელებულ საზომ ერთეულს მთლიანი შიგა პროდუქტი (GDP) წარმოადგენს. GDP ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის საზღვრებში წარმოებული მთლიანი პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულებას ხომავს. შესაბამისად, თუ ქვეყნათა პროგრესს GDP-ის საშუალებით გაგზომავთ, პროგრესი და ადამიანთა კეთილდღეობა მეტის წარმოებასა და მოხმარებასთან უნდა გაფაიგივოთ. თუმცა, ხეოკლასიკური ეკონომიკის დაშვება, რომ “მეტი ყოველთვის უკეთესია”, ბოლო წლების განმავლობაში ბევრი პროგრესული ეკონომისტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის კრიტიკის საგანი გახდა. 2016 წლის დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, ცალსახად ხელიბერალური ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტმა კრისტინ ლაგარდმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკაში ჯოზეფ შტიგლიცმა განაცხადეს, რომ აუცილებელია GDP ჩანაცვლდეს სხვა, მეტად მრავლისმომცველი საზომით, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის მოსახ-

¹³ ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის საზღვრებში წარმოებული მთლიანი პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულება.

ლეობის კეთილდღეობას თუ ბედნიერებას უფრო ნათლად ასახავს. GDP-ის, როგორც ქვეყნის კეთილდღეობის საზომი ერთეულის, ლიმიტაციები მისმა არქიტექტორმა საიმონ კუზნეცმაც კარგად იცოდა. კუზნეცი წერს: “ქვეყნის კეთილდღეობაზე დასკვნის გაკეთება მხოლოდ გაჭირვებითაა შესაძლებელი ხემოთ განმარტებული ეროვნული შემოსავლის მიხედვით” [Kuznets, 1934, p. 7].

არაერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანთა ჯანმრთელობასა და მათ სუბიექტურ ბედნიერებას¹⁴ შორის დადებითი სტატისტიკური კორელაციაა [Morris et al., 1984; Angner et al., 2012]. ეკონო- მიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების ბედნიერების ქულებსას¹⁵ და მათი მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლებს¹⁶ შორის კავშირსაც ამ დასკვნამდე მივყავარო (ნახაზი 1).

ნახაზი 1



წყარო: Eurostat


ასევე, სხვადასხვა კვლევები ბედნიერებაზე ცხადყოფს, რომ ადამიანთა კეთილდღეობა სხვა მრავალ ფაქტორზე, მათ შორის განათლების ხარისხისა და გარემოს დაბინძურების დონეზეცაა დამოკიდებული [Michalos, 2007; Rehdanza et al., 2013]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეკონომიკური უთანასწორობის გავლენა ადამიანთა კეთილდღეობაზე. უარყოფითი სტატისტიკური კორელაცია ვლინ-

¹⁴ ბედნიერებაზე კვლევათა უმეტესი ნაწილი ეფრდნობა ადამიანთა მიერ კ.ტ. “self-reported” ბედნიერების მაჩვენებლებს. აკადემიურ წრეებში დიდი ხანია მსჯელობები იმის შესახებ, თუ რამდენად გაზომვადია სუბიექტური ბედნიერება.

¹⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ინდექსი, რომელიც გამოიყენება ქვეყნების ბედნიერების შესაფასებლად. “0” ნიშნავს “უბედურს”, “10” ნიშნავს “ძალიან ბედნიერს”.
მოსახლეობის წილი (პროცენტური გამოხატული), რომელიც თავს ჯანმრთელად საერთოდ არ მიიჩნევს.

დება ქვეყნების ჯინის კოეფიციენტ ტებსა¹⁷ და მათი ბედნიერების ქულებს შორის (ნახაზი 2).

ნახაზი 2



წყარო: Eurostat

ეპიდოლოგებმა რიჩარდ უილკინსონმა და ქეით პიკეთიმ, წლების სამეცნიერო კალეგიის შედეგად დაასკვნეს, რომ ისეთი ქვეყნები სადაც დოვლათი შედარებით თანაბრადაა გადანაწილებული მის მოსახლეობას შორის, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო ბედნიერი არიან ვიდრე ისეთი ქვეყნები, რომლებიც მაღალი ეკონომიკური უთანასწორობით ხასიათდებიან [Wilkinson and Pickett, 2009].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანთა კეთილდღეობის და მათი ბედნიერების მაქსიმიზაცია ეკონომიკის მიზანი იყო მისი, როგორც სოციალური მეცნიერებად ჩამოყალიბების დღიდან. ოუმცა, პარადოქსულად, პროგრესის ძეგლის სახით სახომის, რომელიც უცულებელყოფს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომელთაც ადამიანთა ბედნიერებასა და მათ კეთილდღეობაზე პირდაპირი გავლენა აქვს. ჯანმრთელობა, განათლება, გარემოს დაბინძურება და ეკონომიკური უთანასწორობა იმ ფაქტორთა მხოლოდ ნაწილია, რომელთაც ადამიანთა კეთილდღეობაზე საგრძნობი გავლენა აქვს, მაგრამ არ არის ინკორპორირებული GDP-ის მაჩვენებელში. მეტიც, ამ ფაქტორთა გაურესება GDP-ის ზრდაზე დადებით გავლენას ახდენს, ხოლო მოსახლეობის ბედნიერებაზე კი ცალსახად უარყოფითს. ეკონომისტებმა კარგად იციან GDP-ის ეს ნაკლოვანებანი და დიდი ხანია მუშაობენ, შექმნან მისი ისეთი ალტერნატივები, რომლებიც შემოსავლებთან ერთად გაითვალისწინებს ადამიანთა ბედნიერებაზე ზეგავლენის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებსაც. შესაბამისად, ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა მრავალი საზომი, რომელმაც მეტ-ნაკლებად შეძლო GDP-ის ნაკლოვანებების გამოსწორება. მნიშვნელოვანია რამდენიმე მათგანზე ყურადღების გამახვილება.

¹⁷ საზომი, რომელიც გამოიყენება საზოგადოებაში შემოსავლების უთანასწორობის დასათვალედად. “0” ნიშნავს აბსოლუტურად თანაბარ საზოგადოებას, “100” ნიშნავს აბსოლუტურად უთანაბრო საზოგადოებას.

მთლიანი შიგა პროდუქტის აღტერნატივები

დღითი დღე უფრო დიდი მნიშვნელობა ენტება ბუტანის მეოთხე მეფის მიერ 1972 წელს წარმოდგენილ კონცეფციას ერთიანი ეროვნული ბედნიერების შესახებ. კონცეფციის თანახმად, ქვეყანა განიცდის პროგრესს მაშინ, როდესაც ქვეყნის მატერიალური განვითარება მისი მოსახლეობის სულიერი განვითარებითაა დაბალანსებული. ერთიანი ეროვნული ბედნიერება ეფუძნება ოთხ მთავარ ბურჯს¹⁸, ხოლო ერთიანი ეროვნული ბედნიერების ინდექსის გამოთვლა ცხრა სხვადასხვა კრიტერიუმს¹⁹, რომელთაც საბოლოო ინდექსის გამოთვლისას თანაბარი წონები ენიჭება. ბუტანის სამეცნიერო მიერ შემუშავებული ერთიანი ეროვნული ბედნიერების კონცეფცია ეტაპობრივად იხვეწებოდა მისი ჩასახვის დღიდან და დღეს ბუტანის ეკონომიკური ზრდისა და პროგრესის ოფიციალური საზომია.

ერთ-ერთი პირველი GDP-ის აღტერნატივის შექმნის იდეა 1995 წელს უერნალ “Atlantic Monthly”-ში გამოქვეყნებული სტატიის, სათაურით “თუ GDP იზრდება, რატომ ქვეითდება ამერიკა”, შედეგად შეიქმნა. ერთ-ერთი ამერიკული კლევითი ორგანიზაციის თანამშრომლებმა მკითხველს გააცნეს პროგრესის ახალი საზომი, ჰეშმარიტი პროგრესის ინდიკატორი, რომელიც GDP-ისგან განსხვავებით, ქვეყნის პროგრესის დათვლისას ითვალისწინებს ქვეყნის არა მხელოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ და გარემო პირობების მდგომარეობასაც. საზომი პოპულარულია აკადემიურ წრეებში და მას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს ამერიკის რამდენიმე შტატის მთავრობა იყენებს. მაგალითად, 2004 წლიდან ვერმონტის, მერილენდის, ვაშინგტონისა და ჰავაის შტატები გამოვიდნენ ინიციატივით, რომელიც ჰეშმარიტი პროგრესის ინდიკატორის სხვადასხვა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს გამოყენებას ითვალისწინებს.

კიდევ ერთი, საქმაოდ დახვეწილი საზომის განვითარების იდეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამას ეკუთვნის. პროგრამა ყოველწლიურად აქვეყნებს “ჰეშმანური განვითარების ანგარიშს”, რომელშიც თითოეულ ქვეყანას ჰეშმანური განვითარების ინდექსის ანიჭებს. ინდექსის შემუშავება მცდელობაა იმისა, რომ შეიქმნას კომპოზიტური ცხოვრების სტანდარტების შეფასების ახალი მაჩვენებელი. ჰეშმანური განვითარების ინდექსის განსაზღვრა დაფუძნებულია სამ სხვადასხვა კრიტერიუმზე. ესენია: სიცოცლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების ხარისხი და მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (PPP)²⁰.

გარდა “ჰეშმანური განვითარების ანგარიშისა”, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 2012 წლის შემდეგ ყოველწლიურად აქვეყნებს “შსოფლიო ბედნიერების ანგარიშს”, რომელშიც, რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით, 157 ქვეყანას სხვადასხვა ბედნიერების ქულას ანიჭებს. GDP მოსახლეობის ერთ სულზე (PPP)²¹, პიროვნული და გამოხატვის თავისუფლება, სოციალური მხარ-

¹⁸ მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ეფექტური მმართველობა, კულტურის დაცვა.

¹⁹ ფინერლოგური კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, განათლება, კულტურული მრავალფეროვნება, ეფექტიანი მმართველობა, თემის სიცოცლის უარისანობა, ეკოლოგიური მრავალფეროვნება და ცხოვრებისეული პირობება.

²⁰ GDP-ის მსგავსი მაჩვენებლი, რომელიც, GDP-ისგან განსხვავებით, მოქალაქეების მიერ სხვა ქვეყნებით მიღებულ შემოსაველებსაც ასახავს.

²¹ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა სულადო ცხოვრების სტანდარტის შესაფასებლად ეკონომიკურში ხშირად გამოყენებად ინდიკატორი, რომელიც მსყიდველიბით უნარის პარიტეტის (PPP) მიხედვით ქვეყნებს შორის შედარების საშუალებას იძლევა.

დაჭრა, მოქალაქეთა სიუხვისებენ მიღრეცილება, ჯანმრთელი ცხოვრების ხანგრძლივობა, სახელმწიფოს მიმართ ნდობა და კორუფციის აღქმა – ეს იმ კრიტერიუმთა ჩამონათვალია, რომლებიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის ბედნიერების საბოლოო ქულას. ანგარიშის პოპულარობა დღითი დღე იზრ- დება, რადგან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები მას ხშირად იყენებენ პო- ლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნების კეთილდღეობის და ბედნიერების შესაფასებლად ბევრი სხვადასხვა საზომი შეიქმნა. კეთილდღეობის ალტერნატიული საზომები ერთმანეთისგან სხვადასხვა ასპექტებით განსხვავდებიან, თუმცა ყოველი მათგანი ცდილობს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, რომელთაც GDP ნაწილობრივ ან სრულად უგულებელყოფს.


ალტერნატიული საზომების პრიტიპა

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბედნიერებისა და კეთილდღეობის ეკონომიკური არსის შესახებ უამრავი კვლევა შეიქმნა, დღემდე არ მოიძებნება განვითარების ისეთი საზომი, რომელიც GDP-ის სრულად ჩაანაცვლებს. სხვადასხვა კვლევები ამის მიზანად ისეთ ფაქტორებს ასახელებს, როგორიცაა ასეთი საზომების სრულად დახვეწისათვის საჭირო რესურსების არქონა, ბედნიერების არსის ბუნდოვანება, მისი სუბიექტური ბუნება, მონაცემთა სიმწირე, კვლევათა ვალიდურობა, კვლევის მეთოდების არატრანსპრენტულობა და მათში გამოყენებული მონაცემების სიზუსტის არასაკმარისი მტკიცებულება (Parris and Kates, 2003). განვითარების საზომები, როგორც აღვნიშნეთ, უმეტეს შემთხვევებში ეფუძნება ადამიანთა მიერ აღქმულ პირად ბედნიერებას, შესაბამისად, ქვეყანათაშორისი ანალიზისას უგულებელყოფითა ამ ქვეყნებს შორის განმასხვებელი ენობრივი და კულტურული ასპექტებიც. ხშირად, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ბედნიერების გამოხატვის განსხვავებული დონით გამოირჩევიან. ზოგი ეროვნების ადამიანი ბედნიერებას შეტან, ზოგი კი ნაკლებად გამოხატავს, რაც თავისთავად ამახინჯებს ბედნიერებაზე შეგროვილი მონაცემების ვარგისიანობას ქვეყანათაშორისი ანალიზის გაკეთებისას (Koopmann-Holm and Tsai, 2014). ალტერნატიული საზომების სრულად დახვეწილობის შემთხვევაშიც კი სადაცო საკითხი იმის შესახებ უნდა ჩაანაცვლოს თუ არა ამ საზომება GDP. სხვადასხვა კვლევებში შეიმჩნევა შიში იმის შესახებ, რომ ასეთი საზომები GDP -ისთან შედარებით ადვილად მანიპულირებადია და შესაძლოა მათი გაფეტიშებით მთავროვბებმა გადაფაროს რეალური პრობლემები და გამართლება მოუძებნოს დაბალ ეკონომიკურ ზრდას (White, 2014). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, მართალია, ბურანში ადამიანთა უმრავლესობა ბედნიერად მიიჩნევს თავს, მაგრამ ეს შესაძლოა მათი რელიგიურობის ან უბრალოდ გარე სამყაროზე ინფორმაციის არქონის შედეგიც იყოს.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ GDP, მართალია, საერთო კეთილდღეობის უნაკლო საზომი არ არის, მაგრამ ის კარგად ზომავს იმ კეთილდღეობას, რომელიც ეკონომიკურ განვითარებას მოაქვს. იკვეთება ისიც, რომ მდიდარი ქვეყნები საშუალოდ უფრო ბედნიერი არიან ვიდრე დარიბი ქვეყნები. ასევე, კეთილდღეობის ალტერნატიულ საზომებსა და GDP-ის შორის ხშირად დადებით სტატისტიკურ კორელაციასაც ვაწყდებით – GDP-ის ზრდას-

თან ერთად იზრდება ბედნიერებაც, თუმცა მათ შორის კავშირი კლებადი ზღვრული სარგებლინობით²² ხსიათდება (ნახაზი 3).

ნახაზი 3



წყარო: World Bank, World Happiness Report

შედეგად, შესაძლოა ვივარაუდოთ ისიც, რომ მოსახლეობის ბედნიერების მაქსიმიზაციაზე ზრუნვა მდიდარ ქვეყნებში უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე დარიბ ქვეყნებში, რადგან დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში მხოლოდ GDP-ის ზრდასაც აქვს ბედნიერების ზრდაზე მკვეთრი გავლენა.

დასტვნა

ბედნიერების ცნება ეკონომისტების ინტერესის საგანს ეკონომიკის, როგორც სოციალური მეცნიერების, ჩამოყალიბების დღიდან წარმოადგენდა. პარადოქსულად, პროგრესის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ მაჩვენებელს ისეთი საზომი (GDP) წარმოადგენს, რომელიც თავის თავში ვერ ახერხებს ასახოს ისეთი ფაქტორები, რომელთაც ადამიანთა ბედნიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ. შესაბამისად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეიქმნა კეთილდღეობის სხვადასხვა კომპოზიტური საზომები, რომლებიც GDP-ის ნაკლოვანებების გამოსწორებას ისახავდა მიზნად. თუმცა, ბედნიერების ცნების ირგვლივ არსებული გაურკვევლობა და საკითხის ირგვლივ სხვა- დასხვა კლევების შედეგების წინააღმდეგობრიობა როგორც სხვის ამ ინდიკატორების საყოველთაოდ აღიარებას. შესაბამისად, რადგან GDP დღესდღეობით ყველაზე კარგად შესწავლილი ინდიკატორია, შეგიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი ჩანაცვლება აღმოჩენაზე საზომით ახლო მომავალში არ მოხდება. თუმცა, შესაძლებელია იმის ვარაუდიც, რომ უფრო და უფრო მეტი ქვეყნები მოახდენენ ბედნიერების ინდიკატორების ეტაპობრივ ჩართვას სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ერთი რამ უდავოა - ბედნიერებაზე კალებებმა უდიდესი კონტრიბუტორი შეიტანა ეკონომიკის, როგორც მეცნიერების განვითარებაში და გააჩინა საერთაშორისო დიალოგი

²² ერთი კროეულით მეტი საქონლისა და მომსახურების მოხმარებით მიღებული კმაყოფილება.

იმის შესახებ, თუ როგორ მოვახდინოთ პროგრესის უკეთ გაზომვა და მისი მეტად წახალისება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Angner, Erik, Jennifer Ghandhi, Kristen Williams Purvis, Daniel Amante, and Jeroan Allison. "Daily Functioning, Health Status, and Happiness in Older Adults." *SpringerLink*. Springer Netherlands, 14 Oct. 2012. Web. 30 May 2017.
2. Bentham, Jeremy, and F. C. Montague. *A Fragment On Government*. Union, NJ: Lawbook Exchange, 2001. Print.
3. Bruni, Luigino, and Pier Luigi. Porta. *Handbook On The Economics Of Happiness*. Cheltenham, UK: Edward Elgar, 2007. 160. Print.
4. Cantril, Hadley. *The Pattern of Human Concerns*. New Brunswick, NJ: Rutgers U, 1965. 194-95. Print.
5. Chainey, Ross. "Beyond GDP – Is It Time to Rethink the Way We Measure Growth?" *World Economic Forum*. N.p., 13 Apr. 2016. Web. 29 May 2017.
6. Cobb, Clifford, Ted Halstead, and Jonathan Rowe. "If the GDP Is Up, Why Is America Down?" *The Atlantic*. Atlantic Media Company, Oct. 1995. Web. 24 May 2017.
7. Easterlin, Richard A. "Does Economic Growth Improve the Human Lot? Some Empirical Evidence." *Nations and Households in Economic Growth* (1974): 89-125. Web.
8. "GINI Index (World Bank Estimate)." *GINI Index (World Bank Estimate) / Data*. Web. 30 May 2017.
9. "Human Development Reports." *Human Development Index (HDI) / Human Development Reports*. N.p., n.d. Web. 22 May 2017.
10. Koopmann-Holm, Birgit, and Jeanne L. Tsai. "Focusing on the Negative: Cultural Differences in Expressions of Sympathy." *Journal of Personality and Social Psychology* 107.6 (2014): 1092-115. Web.
11. Kuznets, Simon. "National Income, 1929-1932." *NBER*. N.p., n.d. Web. 29 May 2017.
12. Malthus, Thomas Robert., and Edward Anthony. Wrigley. *An Essay On The Principle Of Population: The First Edition (1798)*. London: Pickering, 1986. Print.
13. Michalos, Alex C. "I: Health, Education, and Welfare." *Journal of Economic Literature* 50.3 (2012): 868-73. Web. 25 May 2017.
14. Okun, Morris A., William A. Stock, Marilyn J. Haring, and Robert A. Witter. "Health and Subjective Well-Being: A Meta-Analyis." *The International Journal of Aging and Human Development* 19.2 (1984): 111-32. Web.
15. Parris, T.M., and R.W. Kates. "Parris, T. M., and R. W. Kates. 2003. Characterizing and Measuring Sustainable Development. Annual Review of Environment and Resources 28:559-586." N.p., 2003. Web. 31 May 2017.
16. Pigou, A. C. "Some Aspects of Welfare Economics." 41.3 (1951): 287-302. Web. 29 May 2017.
17. Rehdanza, Katrin, and David Maddisonb. "Health and Happiness." *Happiness* (n.d.): 27-46. Centre for Marine and Climate Research, Hamburg University, 10 Apr. 2013. Web. 25 May 2017.
18. Smith, Adam. *The Theory of Moral Sentiments*. London: Printed for A. Millar; and A. Kincaid and J. Bell, in Edinburgh, 1761. 187. Print.
19. Staff, Investopedia. "Gini Index." *Investopedia*. N.p., 14 Mar. 2016. Web. 30 May 2017.
20. "States Exploring the GPI." *Genuine Progress in the States*. N.p., 26 May 2014. Web. 25 May 2017.
21. Tella, Rafael Di. "The Macroeconomics of Happiness." *The Review of Economics and Statistics* 85.4 (2003): 809-27. *JSTOR*. Web. 29 May 2017.

22. Ura, Karma. *A Short Guide To Gross National Happiness Index*. Thimphu: Centre for Bhutan Studies, 2012. Web. 26 May 2017.
23. White, Mark D. "The Problems with Measuring and Using Happiness for Policy Purposes." Mercatus Center, 14 Sept. 2016. Web. 19 May 2017.
24. Wilkinson, Richard G., and Kate Pickett. Introduction. *The Spirit Level: Why More Equal Societies Almost Always Do Better*. London: Allen Lane, 2009. N. pag. Print.
25. "World Happiness Report 2017." *World Happiness Report*. N.p., n.d. Web. 23 May 2017.
26. "Your Key to European Statistics." *Database - Eurostat*. N.p., n.d. Web. 25 May 2017.

Vano Benidze

*Master of Public Administration from New York University,
Master of Management from ESSEC Business School,
Ph.D. Candidate in Economics at the Tbilisi State University.
Lecturer in micro and macroeconomics at Caucasus University*

THE ECONOMICS OF HAPPINESS AND ALTERNATIVE MEASURES OF WELL-BEING Expanded Summary

Economist have been interested in the notion of happiness since the creation of the field of economics. In The “Theory of Moral Sentiments”, Adam Smith wrote: “Man was made for action - to exercise his faculties to promote changes in the external circumstances both of himself and others in ways that seem most favorable to the happiness of all” (Smith, 1759/1761, p. 187). Other renown 19th century economists often wrote about the relationship between happiness and economics (Malthus 1798/1968; Bentham 1776/2001). The role of happiness slowly lost its significance in the economic theory as the era of consumerism emerged in the 19th century and economists generally started to believe that increased wealth led to a greater happiness - a claim which, during that period, had almost become axiomatic. Later, in 1974, Richard Easterlin revisited the concept of happiness and was the first modern economist to investigate the relationship between individual happiness and income. When conducting cross-country comparisons, Easterlin found that there was no statistical relationship between the level of self-reported happiness and per capita income – a finding that raised serious questions about whether gross domestic product (GDP) growth is always synonymous with happiness, human well-being or progress.

Numerous studies have found high positive correlation between human happiness and their health (Morris et al, 1984; Angner et al, 2012). Same conclusion can be drawn by looking at the relationship between happiness scores and status of health of the citizens of OECD member countries (see graph 1). Other studies indicate that human happiness is strongly linked to many factors, including quality of education and air pollution (Michalos, 2007; Rehdanza et al, 2013). The influence of income inequality on human well-being is also worth mentioning – cross-country analysis show that the more unequal countries are less happy on average (see graph 2).

As stated above, there are several factors that affect human happiness and well-being. However, these factors are partially or completely ignored by GDP. Moreover,

increased consumption has a positive effect on GDP, but can have negative ramifications for human health, environment and income inequality. While GDP is a valuable statistic within itself, its use as a measure of well-being has attracted much criticism due to the reasons stated above. Therefore, over the last few years, many alternative measures of well-being have been proposed.

The popularity of the concept of Gross national happiness (GNH), proposed by the Fourth King of Bhutan in 1972, has expanded beyond Bhutan's borders. Since 1972, the country has rejected GDP as the only way to measure progress and has focused on maximizing GNH, the measure that stands on four pillars of sustainable and equitable socio-economic growth, environment conservation, tradition and culture and good governance.

Created in 1995, the genuine progress indicator (GPI), is one of the first alternatives to GDP. GPI measures well-being by incorporating consumption with important environmental and social factors which are not measured by GDP. This alternative measure of progress is popular within the scientific community and used frequently by governments and NGOs around the world. In 2014, several U.S states have passed state government initiatives to consider GPI in political decisions. Over the last decade, some other alternatives for measuring nation's well-being, including World Happiness Report and Human Development Index, have been proposed by the United Nations and other international NGOs. These alternative measures of progress differ in substance, but all of them try to address the growing realization that GDP does not measure quality of life, let alone social or environmental well-being.

Although problems with GDP as a measure of well-being have long been identified and many alternative indicators of progress have been proposed, there are still significant obstacles to implementing and using these measures. Many studies indicate that the reasons for this are data and methodology issues and the vagueness of the concept of happiness in itself (Parris and Kates, 2003). Other studies fear that the alternatives to GDP can be easily manipulated, used for the political reasons and/or as a justification of low economic growth (White, 2014). Another key thing to remember is that the fact that majority of the Bhutanese are happy can simply be caused by their high level of religiosity or by the fact that they do not possess much information on the external world. In addition, cross-country data shows that the countries with higher GDP per capita (PPP) are happier on average, but after certain income levels, rising income does little to increase overall happiness. That said, happiness maximization can be more important in high-income countries than in the poorer nations.

All things considered, although GDP fails as a measure of well-being, due to the reasons mentioned above, it is highly unlikely that it will be replaced any other measure of progress in the near future. We can only assume that more countries will start incorporating alternative measures of well-being in their decision and policy-making process. It is without a doubt, however, that the happiness research of the past decades has contributed to the development of the field of economics and has sparked global discussion on how to better measure human progress and well-being.

შორენა წიკლაური
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. დოქტორანტი

მოსახლეობის დაგერება საქართველოში, რობორც ქვეყნის ეკონომიკის
დემობრაზოული ხაზანი

რეზიუმე

ქვენის ეკონომიკის განვითარებასა და კეთილდღეობაზე დემოგრაფიას დიდი გავლენა გააჩნია. მოსახლეობის რაოდენობის ზრდა დადგებითად აისახება ეკონომიკის განვითარებაზე, თუმცა მას შეიძლება უარყოფითი ხასიათიც ჰქონდეს, როდესაც ამოიწურება დემოგრაფიული დივიდენდო. სწორედ ეს სიტუაცია არის თანამედროვე საქართველოსათვის გამოწვევა, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა, მოსახლეობის დაბერების გამო, ხაფანგში აღმოჩნდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიის მიზანია, გავაანალიზოთ დემოგრაფიული დაბერების მოსალოდნელი შედეგები საქართველოში.

საკვანძო სიტუაცია: დაბერება, დემოგრაფიული ხაფანგი, ეკონომიკური განვითარება

შესავალი

დემოგრაფიული გადასვლის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მოსახლეობის დაბერებაა, რომელიც გასული საუკუნის მანძილზე თითქმის ყველა განვითარებული ქვენის გამოწვევად იქცა [Bengtsson, Scott, 2010]. დემოგრაფიული განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია შობადობის დონის შემცირება, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა, რისი შედეგიც არის მოსახლეობის დაბერება. სადღეისოდ, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. განვითარებადი ქვეყნების დემოგრაფიული პრობლემა მოსახლეობის მატებაა, ხოლო განვითარებული ქვეყნები კი შობადობის შემცირების და მოსახლეობის დაბერების გამოწვევის წინაშე იმუოფებიან.

მოსახლეობის დაბერება გლობალური, შეუქცევადი და გარდაუვალი დემოგრაფიული პროცესია, რომელიც ქვენის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში რადიკალურ ცვლილებებს იწვევს და შესაბამისად სახელმწიფოების წინაშე დგება აუცილებლობა, ეკონომიკური და სოციალური პრიორიტეტების განსაზღვრისას გაითვალისწინოს მოსახლეობის ასაკობრივი შემაღებნლობა, რაც პირდაპირ აისახება დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლებში.

მრავალი ემპირიული გამოკვლევა აჩვენებს, რომ მოსახლეობის და სამუშაო ძალის შემცირება პირდაპირ დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის (შპპ) ზრდის ტემპთან. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიმდინარეობს შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება, 2015-2055 წლისთვის ევრო- პაში ის 20%-ზე მეტი შემცირდება, შესაბამისად შპპ ზრდის ტემპიც შემცირდება, რაც საგანგაშო პერსპექტივად უნდა მივიჩნიოთ [(Рональд, თემპრი, 2017].

საქართველოში ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საპენსიო პაკეტის (ასაკით პენსია) მიმღებთა რაოდენობამ 2016 წლის ბოლოსათვის 720 194 ქვედგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით 5,5%-ით მეტია. ამასთან ერთად, საქართველოში, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი და ხანდაზმულობის (ასაკით) პენსია თითქმის გათანაბრებულია.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებანი 2017 წელს საპენსიო უზრუნველყოფაზე 2-ჯერ აღმატება 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებს, მაგრამ ეკონომიკური მდგრძარეობით, შემოსავლებისა და კეთილდღეობის დონით პენსიონგენტი იყო და ონება მარგინალურ ჯგუფად, მაშინ როდესაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქეყნებში საპენსიო ასაკის მოსახლეობა სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით უფრო დაცულია, კეთილდღეობის უფრო მაღალი დონითა და დარიბთა უფრო დაბალი წილით გამოიჩინა [Sulaberidze, 2017].

მოსახლეობის დაბერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგი ქვეყანაში სამუშაო ძალასა და პენსიონერთა შორის თანაფარდობაა, რომელიც ზრდის პოტენციურ ეკონომიკურ ტკიროს ახალგაზრდებზე, რადგან თოთოველი ქვეყნის საპენსიო ფონდი ძირითადად შექმნილია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებით (Börsch-Supan, 2003). სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა ახანგრძლივებს საპენსიო ასაკში ყოფნას და შედეგად გარდაუვლად იზრდება სამუშაო ძალის დატვირთვის მაჩვენებელი.


აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია, გავაანალიზოთ დემოგრაფიული დაბერების ხაფანგის მოსალოდნელი გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე საქართველოში.


დემოგრაფიული დაბერების ტენდენციები საქართველოში

საქართველო, დემოგრაფიული განვითარების ზოგიერთი პარამეტრით და მათ შორის მოსახლეობის დაბერებით, განვითარებული ქვეყნების მსგავსია.

დემოგრაფიული დაბერება საქართველოში ჯერ კიდევ 1959 წელს, არსებული „ბეიბი ბუმის“ დროს აღინიშნა, როდესაც 65 წელს გადაცილებულთა წილმა მოსახლეობის საერთო რაოდგნობაში 7,7% შეადგინა [Sulaberidze, 2017]. ამასთან, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 73 წელს არ აღემატებოდა. 1960-2014 წლებში აღნიშნული მაჩვენებლები სტაგნაციით ხასიათდებოდა, რაც, თავის მხრივ განაპირობებდა მოსახლეობის დაბერების დაბალ ტემპს 1989 წლამდე [სულაბერიძე, გომელაური, 2016].

დიაგრამა 1: მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა (%)






წერტილი: მოსახლეობის საყოველთაო აღწერები; * - (UN, 2017), custom data acquired via website.

1959 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას მკვეთრად გამოხატული პროგრესული სახე აქვს. ამ პერიოდში, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, ეწ. სამუშაო ძალა შეადგენს. მომდევნო პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მკვეთრად შეიცვალა და 1989 წელს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივმა პირამიდამ სტაციონალური სახე მიიღო, რაც განპირობებული იყო ბუნებრივი მატების ძალიან დაბალი დონით.

საქართველოში, დამოუკიდებლობის ადდგენის შემდეგ ჩატარებულმა პირველმა ეროვნულმა აღწერამ აჩვენა, რომ 1989 წელთან შედარებით შემცირებულია 0-4 წლის ასაკის და გაზრდილია 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილი. მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ პირამიდას 2002 წელს უფრო „რეგრესული“ სახე აქვს, რაც გამოწეულია შობადობის დონის შემცირებით. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლებიდან ქვეყნიდან გადის უფრო მეტი ვიდრე შემოდის, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის რაოდენობასა და მის შემადგენლობაზე.

2014 წელს საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ პირამიდას მკვეთრად გამოხატული „სტაციონალური“ სახე აქვს და 2050 წლისათვის ფაქტობრივად პირამიდის სახე ექნება დაკარგული, მოსალოდნელია მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება, რაც გამოიწვევს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ტემპის ზრდას.


2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილი 14.3%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობის დაბერების დონე გაერთს სტანდარტს ორჯერ აღემატება, რომლის მიხედვითაც, თუ მოსახლეობაში 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილი 7%-ზე მეტია, მაშინ მოსახლეობა დაბერებულად მიიჩნევა [წულაძე, მაღლაფერიძე, სულაბერიძე, 2007, გვ. 92]. პროგნოზების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი 2050 წლისათვის 23%-ს მიაღწევს (UN, 2017), რასაც მოჰყება მოსახლეობის ე.წ. „დემოგრაფიული დატვირთვის“ მაჩვენებლის ზრდა. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკურად არააქტიური (ბავშვები და მოსუცებულები) მოსახლეობის რაოდენობის ყოველ 100 კაცზე უფრო ნაკლები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა იქნება.



დიაგრამა 2. დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტები 15-64 წლის ყოველ 100 კაცზე

წყარო: (UN, 2017), custom data acquired via website.

თუ 1950 წელს საქართველოში ყოველ 100 ეკონომიკურად აქტიურ (15-64 წლის ასაკის) პირზე მოდიოდა დაახლოებით 16 საპენსიო ასაკის (65 წლის და უფროსი) მოსახლეობა, ეს მაჩვენებელი 2017 წლისათვის 22-მდე გაიზარდა, ხოლო პროგნოზების მიხედვით 2050 წლისათვის 37-ს გადააჭარბებს. ამასთან, 1950 წელს ყოველ 100 ეკონომიკურად აქტიურ (15-64 წლის ასაკის) პირზე მოდიოდა დაახლოებით 43 ახალგაზრდა ასაკის (0-14 წლის ასაკის) მოსახლეობა, რაც 2050 წლისათვის თითქმის 1,5-ჯერ შემცირდება. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ დატვირთვის კოეფიციენტი იზრდება არა ახალგაზრდობის ხარჯზე, არამედ დაბერების ხარჯზე და ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.



დიაგრამა 3. დასაქმებული მოსახლეობის განაწილება დასაქმების
სტატუსისა და ასაკის მიხედვით, (%)
წყარო; 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის დასაქმების დონე 45.3%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია სახოფლო ტიპის დასახლებებში, ვიდრე საქალაქოში (69 და 21 შესაბამისად). ამასთან, 65 წლის და უფროსი ასაკის დასაქმებულ მოსახლეობაში მათი აბსოლუტური უმრავლესობა (86.3%) თვით-დასაქმებულია, რაც არ არის მოულოდნელი, რადგან დასაქმებული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (46.6%) სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და ხანდაზმულების უმრავლესობაც მათ შორის არის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ თაობათაშორის ტრანსფერები. როგორც საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარებული გამოკვლევის შედეგები აჩვენებს, ტრანსფერები მიმართულია ძირითადად უფროსიდან უმცროსი თაობისაკენ. უფროსი თაობის რესპონსებითა 55% მატერიალურ და ფინანსურ დამარტინაციის უწევს უმცროსი თაობის წარმომადგენლებს, მაშინ, როცა უმცროსი თაობის მხოლოდ მეოთხედი უწევს დახმარებას უფროს თაობას [შეღია, 2013]. ანალოგიური სურათი გამოიკვეთა 2015 წლის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვითაც.

ზოგადად, განსხვავებული დემოგრაფიული სტრუქტურა ქალაქებად და სოფლად (ქალაქის მოსახლეობა საქართველოში შედარებით ახალგაზრდაა სოფლის მოსახლეობაზე) აისახება ქალაქისა და სოფლის შინამეურნეობების შემოსავლებსა და მათ წვლილში ქვეყნის მშპ-ის ფორმირებაში. საქართველოში სოფლად ცხოვრობს მოელი მოსახლეობის 42.8 პროცენტი, თუმცა აგრძელ სექტორში იქმნება ქვეყნის მშპ-ის დახლოებით 1/10, ხოლო ეკონომიკის სხვა სფეროებში სოფლად მცხოვრებთა წვლილი დაბალოებით 4-5 პროცენტია. ანუ სოფლად მცხოვრებთა წილი ქვეყნის ეკონომიკაში დაახლოებით 3-ჯერ ჩამორჩება მათსავე წილს ქვეყნის მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში. ეს კი ადგენატურ ასახვას პოვებს შინამეურნეობათა შემოსავლებისა და კეთილდღეობის სტრუქტურაში [Sulaberidze, 2017].

ამ პირობებში, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ დემოგრაფიის გავლენა გარნომიკაზე. ერთი მხრივ, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და კეთილდღეობას [Samuelson, 1975], რადგან მზარდი მოსახლეობა საგადასახადო ბაზას აფართოებს და აჩქარებს პენსიაზე გადასვლის კაპიტალის დაგროვებას. ასეთ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღება მოსახლეობის რაოდენობის ზრდით, ეწოდება დემოგრაფიული დივიდენდი. მეორე მხრივ, ამ პიპოთების საპირისპიროდ, როდესაც მოსახლეობის ზრდის პერიოდი სტაგნაციაშია, შემდგომში მოჰყვება ე.წ. „დამხმარეთა მაჩვენებელის“ შემცირება. დღეისათვის ნელ-ნელა იწურება საქართველოს დემოგრაფიული დივიდენდი (შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი მოედს მოსახლეობაში). დღის წესრიგში დგას მეორე დემოგრაფიული დივიდენდის (65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის) დასაქმებისა და სოციალური დაცვის პრობლემები [Sulaberidze, 2017]. გასათვალისწინებელია რომ დაბრუნებული საპენსიო ასაკის მიგრანტები კიდევ უფრო გაამძაფრებენ არსებულ სოციალურ დატვირთვას ბიუჯეტზე. სწორედ ეს სიტუაცია არის თანამედროვე საქართველოსათვის გამოწვევა, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა მოსახლეობის დაბერების გამო აღმოჩნდება ხაფანგში.

დასკვნა

წმინდა დემოგრაფიული თვალსაზრისით, მიჩნეულია, რომ შობადობის დონის და იმიგრაციული ნაკადების ზრდა ანელებს მოსახლეობის დაბერების პროცესს, რადგან იზრდება შრომითი ბაზარი და საგადასახადო ბაზა. თუმცა, ამ პრცესით პოზიტიური ეფექტის მიღებას, სულ მცირე, 25-30 წელი მაინც სჭირდება, რაც დამატებით პრობლემებს წარმოშობს, როგორიც არის იმიგრანტების დასაქმების ბაზარზე ინტეგრაცია, გაიზრდება საპენსიო და ჯანდაცვის ფონდზე დატვირთვა, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს იმიგრაციის პოზიტიურ ეფექტს. ამასთან, საქართველოდან ისევ გრძელდება სამუშაო ძალის გადინება, თუმცა, პროგნოზების და მიგრაციული გადასხვლის თეორიის მიხედვით, გარდაუგალია 1990-იან წლებში გადინებული შრომითი მიგრანტების დაბრუნების პროცესი, რომლებიც საპენსიო ასაკში იმყოფებიან, რაც კიდევ უფრო გააუარესებს, დღეისათვის უკვე დეფორმირებულ, მოსახლეობის რეგრესულ ასაკობრივ სტრუქტურას და გაზრდის დემოგრაფიულ ხაფანგს ქვეყნის ეკონომიკის თვის.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კორექტირება და/ან შემუშავება განხორციელდეს დემოგრაფიული გამოწვევების გათვალისწინებით, რათა ქვეყანამ მოსალოდნელი დამოგრაფიული ხაფანგი „მსუბუქად“ გადაიტანოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სულაბერიძე ა., გომელაური ნ. (2016). დემოგრაფიული დაბერება და მეორე დემოგრაფიული დივიდენდის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში. ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია. თბილისი. თსუ.
2. შელია მ. (2013). ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში. სოციალურ ეკონომიკური პრობლემები.

3. წულაძე გ., მადლაფერიძე ნ., სულაბერიძე ა. (2007). დემოგრაფია. სახელმ-ძღვანელო. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი.
4. Bengtsson T., & Scott, K. (2010). The Ageing Population. The Case of Sweden. Springer.
5. Samuelson P. A. (1975). The Optimum Growth Rate for Population. International Economic Review , vol. 16(3), 83. 531-38.
6. Sulaberidze, A. (2017). Presentation on demographic trend and national accounts system in Georgia . The symposium “National transfer accounting: principles, methodology and the main problems of construction” organization . Higher School of Economics, Moscow: www.demoscope.ru.
7. Tsiklauri, S. (2013). Socio-demographic aspects of population ageing in Georgia. BOLD, Vol. 23 No. 3, pp. 24-28.
8. UN. (2017). World Population Prospects: The 2017 Revision. NY: United Nations, Department of Economic and Social Affairs.
9. Рональд , Л., & Эндрю , М. (2017 წლის მარტი). Цена старения. Финансы и развитие, 83. 7-9.

Shorena Tsiklauri
PhD student at Ilia State University

POPULATION AGEING AS A DEMOGRAPHIC TRAP OF THE COUNTRY'S ECONOMY IN GEORGIA

Summary

Demography has great influence on the economic development of the country and its welfare. The increasing numbers of population is positively reflected on the economy, although it can have a negative character by reducing demographic dividends. This situation is a challenge for the modern Georgia, where economic well-being will be triggered by the aging. The purpose of this article is to analyze the expected outcomes of population ageing in Georgia.

Key words: Ageing, Demographic Trap, Economic Development.

Introduction

Population aging, one of the most visible effects on the demographic transition, had taken place in all industrialized world over the past century and it has evolved into a global phenomenon, affecting more and more newly developed and developing countries (Bengtsson & Scott, 2010). The modern stage of demographic development is characterized by decrease fertility and increase life expectancy, resulting in aging population. At present, developed and developing countries are the difference stage of demographic development. The demographic challenges for developing countries is increasing population, while developed countries are facing the low birth and wide gain in term of life expectancy at all ages.

Population aging is a global, differentiate, multidimensional and inevitable demographic process that takes place in modern world irrespective of any policy measures. The population aging has recently become a matter of active discussion by the scholars. While

defining the country's economic and social priorities the government faces the necessity to take into account sharp democratic changes underway in the population's structure, as a result of which the ratio between the able-bodied and unable-to-work segments of population changes drastically.

Many studies show that the reduction of population and workforce is directly related to the growth of GDP. In almost all developed countries share of working age population declining and is projected to decrease by more than 20% for 2015-2055 which will cause decline of GDP's growth rate (& , 2017).

According to the official data²³, the number of persons receiving pension package (old age) equalled 720 194 in 2016 which is 5.5% higher compared to 2012. In addition, the substance minimum and old age pension is nearly equal.

The State Budget Assignments of Georgia in 2017 are two times higher than the total revenue of the 2003 state budget. Though, in terms of economic conditions, well-being and incomes pensioners always been a socially excluded group, while in the countries with developed market economy population in the retirement age are more secured than other age groups, as well as their well-being is higher (Sulaberidze, 2017).

One of the significant economic outcomes of the population aging is the changing ratio between the labour age and retired populations in a country, which increases the potential economic burden on the young, as the pension fund in each country is mainly created from the contribution and taxes paid by economically active population. Undoubtedly, the increasing share of older population will modify the aggregate demand for goods and services (Börsch-Supan, 2003). In fact, the retirement period will become longer because of the ongoing improvements in life expectancy, and the pension income might not be enough. This could be particularly true whether the increasing burden on the pension system depress the population dependence ratios.

The objective of this work is to study the expected impact of the aging trap on the socio-economic development in Georgia.


Population ageing in Georgia

Georgia follows the developed countries with some main parameters of demographic development, including population ageing.

First signs of population aging in Georgia observed starting from 1959, which was the period of the “Baby Boom”, when the share of people at age 65 years and over equalled 7.7% (Sulaberidze, Presentation on demographic trend and national accounts system in Georgia , 2017). At the same time, Life expectancy at birth was 72.7 years. In 1960-2014, these indicators were characterized by stagnation, which led to postpone population ageing till 1989 (Sulaberidze & Gomelauri, 2016).

²³The Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia

**Figure 1: Age-Sex Pyramid in Georgia (%)
1959**



Sources: Population Censuses; * - (UN, 2017), custom data acquired via website.

The 1959 Population Census in Georgia shows that age-sex structure of population remains young and more than half of population was working age (15 years and over) population and Age-Sex pyramid was “Progressive”. In the next period the age structure of population has changed drastically and in 1989 the population pyramid has a “Stationary” face due to the low level of natural growth.


In Georgia, the first national census conducted in 2002 showed that the share of population aged 0-4 was reduced and the share of persons aged 65 and older was increased compared to 1989 and the age-sex pyramid was "Regressive". Herewith, starting from 1990's

the net migration is negative which in turn negatively affects the number of population and its structure.

In 2014, the Age-Sex Pyramid is "Constrictive" and population ageing process will continue rapidly by 2050.

According to the 2014 General Population census, the share of persons aged 65 years and older is 14.3% and it is twice higher than the UN standard, according to which the population is ageing when share of persons aged 65 years and older exceed 7% (Tsuladze, Maglapheridze, & Sulaberidze, 2007). According to projections, this indicator will reach 23% by 2050 (UN, 2017) and the Age dependency ratios will increase.


Figure 2: Age dependency ratios (per 100 populations 15-64)



Source: (UN, 2017), custom data acquired via website.

In 1950, the Old-age dependency ratio was 16 and it increased to 22 for 2017 and process will continue and ratio will reach 37 by 2050. At the same period, the Child dependency ratio is going to decrease from 43 in 1950 to 22 in 2050. This led to the fact that the Total dependency ratio increases not at the expense of youth but at the expense of aging which negatively affects the country's economy.

Figure 3: Employed population by Employment Status and age (%)



Source: 2014 General Population Census

According to the 2014 Population Census, the employment rate of 65 years and older is 45.3%, this figure is much higher in rural areas than in urban (69 and 21 respectively). In addition, their absolute majority (86.3%) are self-employed. Which is expected as almost half

of the employed population (46.6%) is employed in agriculture sector and the majority of the elderly are among them.

All the above mentioned, it is important to analyze the intergeneration transfers. As the results of recent surveys conducted in Georgia shows that transfers are directed mainly from the older to younger generation. 55% of older respondents provide material and financial assistance to younger generation, while only a quarter of the younger generation provide assistance to the older generation (Shelia, 2013). The similar results were shown the study conducted by the Institute of Demography and Sociology, Ilia State University in 2015.

In general, a different demographic structure in urban and rural areas (urban population in Georgia is younger than in rural areas) reflects the revenues of urban and rural households and their contribution to the country's GDP. In Georgia, 42.8 percent of the population lives in rural areas but about 1/10 of the country's GDP is created in the agricultural sector and 4-5 percent from the other sector. So, the share of rural residents in the country's economy is about three times lower than their share in the total population. This is an adequate reflected in the income and welfare of households (Sulaberidze, 2017).

Some authors used an overlapping generational model to examine the demographic impact on economy, in which, he asserted that population growth induces prosperity and welfare (Samuelson, 1975). This is because the growing population expands the tax base, and, in turn, accelerates the accumulation of capital transferable to retirees. Such economic benefit taken from the population growth is so called demographic dividend. Nonetheless, on the opposite of his hypothesis, once the population growth is in the era of stagnation, which subsequently leads to a declining ratio of workers to retirees, namely support ratio, the demographic dividend will then, sooner or later, be exhausted. Nowadays, the demographic dividend of Georgia slowly ends and problems of employment and social security of the second demographic dividend (population of 65 years and older) becoming actual (Sulaberidze, 2017). It should be taken into consideration that returning migrants in retirement age will increase the existing social loading on the budget. This situation is a challenge for modern Georgia, where economic well-being will be triggered by the aging population.

Conclusion

Demographically speaking, increasing fertility or immigration could be the solution to the threat of ageing as they are capable to extend the tax base and labour supply. However, as scholars argued, the former takes at least 25-30 years to start exerting positive effects, and the latter is likely to come along with additional problems, e.g. integration of immigrants to labour force, and increasing burden on health care and pension, which would largely offset the positive effect of immigration. At the same time out-migration flows is still higher than inflows, but according to the projections and the Migration Transition theory the labour migrants left the country in 1990's, which are now in retirement age, definitely will start the process of their returning. This will further deteriorate the regressive age structure of the population and increase the demographic trap for the country's economy.

Hence, demographic solutions seem insufficient to overcome such challenges, economic and policy adjustments are therefore needed. It is important to correct or develop a socio-economic policy taking into account the demographic challenges, in order to avoid prospective “demographic trap”.

References

1. Bengtsson, T., & Scott, K. (2010). *The Ageing Population. The Case of Sweden*. Springer.
2. Samuelson, P. A. (1975). The Optimum Growth Rate for Population. *International Economic Review*, vol. 16(3), pp. 531-38.
3. Shelia, M. (2013). Elderly in Georgia. *Problems of Demography and Sociology*.

4. Sulaberidze, A. (2017). Presentation on demographic trend and national accounts system in Georgia . *The symposium “National transfer accounting: principles, methodology and the main problems of construction” organization* . Higher School of Economics, Moscow: www.demoscope.ru.
5. Sulaberidze, A., & Gomelauri, N. (2016). Demographic aging and peculiarities of the formation of the second demographic dividend in Georgia. *Conference dedicated to the 70th anniversary of the Institute of Morphology of Alexander Natishvili*. Tbilisi: TSU.
6. Tsiklauri, S. (2013). Socio-demographic aspects of population ageing in Georgia. *BOLD, Vol. 23 No. 3*, pp. 24-28.
7. Tsuladze, G., Maglapheridze, N., & Sulaberidze, A. (2007). *Textbook of Demography* . Tbilisi: Ilia State University.
8. UN. (2017). *World Population Prospects: The 2017 Revision*. NY: United Nations, Department of Economic and Social Affairs.
9. , .., & , .. (2017,). . , . , . pp. 7-9.

როლანდ სარჩიმელიას ხსოვნას



საქართველოს მეცნიერ ეკონომისტთა და მათგ-
მატიკოსთა საზოგადოებამ დიდი დანაკარგი განი-
ცადა. გარდაიცვალა ი. ჯაფარიშვილის სახელობის
პატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტი-
ტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა ღოქტორი, პროფესორი როლანდ
სარჩიმელია.

ბატონმა როლანდმა შინაარსიანი ცხოვრების
გზა განვლო. იგი დაიბადა ქ. სენაკში. აქვე წარმატე-
ბით დაამთავრა საშუალო სკოლა და 1952 წელს
სწავლა გააგრძელა ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს.
უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც განათლებულმა
და ნიჭიერმა სტუდენტმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ფაკულტეტის სამეც-
ნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბატონმა როლანდმა სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო 1958 წელს საქართ-
ველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ეკონომიკურ-მათემა-
ტიკური მეთოდების განყოფილებაში უმცროს მეცნიერთანამშრომლად. იყო
სათვლელ-პერფორაციული მანქანების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. შემდეგ
მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ეკო-
ნომიკურ-მათემატიკური მეთოდების განყოფილებაში. 1969 წელს ქ. კიევში
დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიიღო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერე-
ბათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1971 წელს გამოყენებითი მათემატიკის
ინსტიტუტში კონკურსის წესით არჩეულ იქნა რიცხვითი მეთოდების განყოფი-
ლების უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1973 წელს ბატონი როლანდი
მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის
ინსტიტუტში ჯერ წრფივი და დისერტაციი პროგრამირების ჯგუფის ხელმ-
დვანელად, ხოლო შემდეგ ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური
პროგრამირების განყოფილების გამგედ, სექტორის ხელმძღვანელად, ეკონომეტ-
რიკის განყოფილების გამგედ და ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების
ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1998 წელს დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა
ეკონომიკურ მეცნიერებათა ღოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ბატონი როლან-
დი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად აგრძელებდა სამეცნიერო მოღვაწეობას
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში.

ბატონი როლანდი მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საერთაშორისო და
ადგილობრივი კონფერენციების მუშაობაში, გამოდიოდა მოხსენებებით ეკონო-
მიკის აქტუალურ პრობლემებზე. წლების მანილზე იყო ასპირანტებისა და მა-
ძიებლების სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელთაგან ოთხმა წარმატებით და-
იცვა საკანდიდატო დისერტაცია ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამო-
ყენების მიმართულებით. იყო ინსტიტუტში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშ-
რომების, კრებულებისა და უურნალ „ეკონომისტის“ სამეცნიერო სარედაქციო
კოლეგიის წევრი. დაჯილდოებულია ლირსების ორდენითა და ბრინჯაოს
მედლით მშენებლობის ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების წარმატებით
გამოყენებისათვის.

პროფ. რ. სარჩიმელიას გამოქვეყნებული აქვს 140-მდე სამეცნიერო ნაშრო-
მი, მათ შორის 5 მონოგრაფიული ტიპის სახელმძღვანელო და ერთი დამხმარე

სახელმძღვანელო ოპერაციათა გამოკვლევისა და ეკონომეტრიკის სპეციალობაში.

ბატონი როდანდ სარჩიმელია მეცნიერულ მუშაობას წარმატებით უსამებ-და პედაგოგიურ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის რიგ უმაღლეს სასწავლებლებში. იგი პატივისცემით სარგებლობდა ახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომ-ლების წრეში და ასაკის მიუხედავად ენერგიულად განაგრძობდა მეცნიერულ საქმიანობას. მისი სიცოცხლე გრძელდება მის შვილსა და შვილიშვილებში. შვილი აღექსანდრე სარჩიმელია წარმატებით მოღვაწეობს მათემატიკისა და ინფორმატიკის სფეროში.

შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ნათესავების, ახლობლებისა და თანამშრომლების გულში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,
ჟურნალ “ეკონომისტის” რედაქცია

იზა ნათელაურის მოსაგონარი



საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოებაში დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუბუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი იზა ნათელაური.

ქალბატონმა იზამ მრავალმხრივ დატვირთული და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა ქ. ახმეტაში 1955 წელს. აქვე წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და 1972 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს და მიიღო ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მან თავი გამოიჩინა როგორც მუსიკობმა, განათლებულმა და ნიჭიერმა სტუდენტმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ფაკულტეტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქალბატონმა იზამ შორმითი და სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო 1977-1981 წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტში ჯერ უფროს ლაბორატორიად, შემდგე უმცროს მეცნიერთანამშრომლად. 1981-1984 წლებში იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტი. 1984 წლის 17 დეკემბერს აქვე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1985 წელს ქალბატონი იზა დაუბრუნდა თავის ინსტიტუტს და 1991 წლამდე მუშაობდა უფროს მეცნიერთანამშრომლად. 1991 წელს მან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერთანამშრომლად. 1993 წლიდან 2006 წლამდე იგი ამავე ინსტიტუტის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლაბორატორიის გამგეა, 2006 წლიდან სსიპ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების შემდეგ მიკროეკონომიკის განვითარების გამგის თანამდებობა ესავა, ხოლო 2017 წლამდე ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილებას. ქალბატონი იზა სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად აგრძელებდა სამეცნიერო მოღვაწეობას თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში.

ქალბატონი იზა სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას 1986-1989 და 1998-2007 წლებში იყო ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომეტრიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკური ანალიზის მათემატიკური მეთოდების კათედრის დოცენტი, ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი. 1994-2005 წლებში თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტში ეპავა დოცენტის თანამდებობა, 2000-2006 წლებში ლექციებს კითხულობდა თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიაში“ საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე და პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტში.

ქალბატონი იზა მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის მუშაობაში, გამოდიოდა მოხსენებით ეკონომიკის

აქტუალურ პრობლემებზე. იგი იყო 5 ასპირანტის ხელმძღვანელი და 4 საქანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი.

მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობას კარგად უხმავდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იყო – ახალი ეკონომიკური სკოლის – “საქართველოს” ექსპერტი; ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაციის კონსულტანტი; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიისათვის საერთაშორისო საზოგადოების დამკვირვებელი ადგილობრივ არჩევნებში. იგი იყო ინსტიტუტში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, კრებულებისა და ჟურნალ „ეკონომისტის“ სამეცნიერო სარედაქციო კოლეგიის წევრი. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მიღებული პქნდა “ლირსე-ბის“ მედალი.

ქალბატონ იზას გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის ორი მონოგრაფია. იგი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომლების წრეში და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ენერგიულად განაგრძობდა მეცნიერულ საქმიანობას. მას ქართული სამეცნიერო საზოგადოება იცნობდა როგორც ნიჭიერ ეკონომისტსა და მათემატიკოსს, მაღალი კვალიფიკაციის გულისხმიერ პედაგოგსა და კარგ მოქალაქეს. ქალბატონი იზას ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლამ ძლიერ დაამტუხრა მისი ახლობლები და თანამშრომლები.

შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგისა და პიროვნების ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ნათესავების, ახლობლებისა და თანამშრომლების გულში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კურნალი “გეონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
კურნალი “გეონომისტი” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ
ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal “Ekonomisti”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თხუ პაატა გუგუშვილის გეონომიკის ინსტიტუტის გამომცემლადა
რედაქტორი სესილი ხანჯალაძე, ნატო აბესაძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Sesili khanjaladze, Nato Abesadze**